# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 9 აგვისტო 2005 №180 (2503) ფასი 50 თეთრი


## საქართველოს ნაკრები გაიოზ დარსაძეს ათხოვეს




ბადრი კეთილაძის ფოტო

## ვინ არის გაიოზ დარსაძე

საქართველოს ნაკრები გაიოზ დარსაძეს ჩაბარდა. ვინ არის გაიოზ დარსაძე? ვფიქრობთ, ამ ახალგაზრდა კაცის სახელი და ვინაობა გულშემატკივართა ფართო წრეებისთვის გარკვეულ დონემდე კი არის ცნობილი, მაგრამ მის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიწოდებითაც, წესით, არაფერი უნდა დაშავდეს.

გაიოზ დარსაძე 1964 წლის 19 ივნისს არის დაბადებული. დამთავრებული აქვს თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლა, ექვსი წლიდან დადიოდა ფეხბურთზე.

სკოლის დამთავრების შემდეგ დარსაძე თამაშობდა თბილისის „სპარტაკსა" და „ლოკომოტივში", 1984 წელს კი სწავლის გასაგრძელებლად ლენინგრადს (დღევანდელი პეტერბურგი) გაემართა, სადაც მსუბუქი მრეწველობის ინსტიტუტში ჩააბარა. ლენინგრადშივე განაგრძო ფეხბურთის თამაში, ჯერ „ტურბოსტროიტელში", ხოლო შემდეგ პაველ სადირინის დროის „ზენიტში", სადაც მეტწილად დუბლშემადგენლობის წევრი იყო.

1988 წელს სადირინი სამუშაოდ ხერსონის „კრისტალში" გადავიდა და დარსაძესაც თან უხმო, მაგრამ ქართველ მოთამაშეს არ გაუმართლა, მძიმე ტრავმა მიიღო, რომელსაც ექიმებმა ბოლომდე ვერ უმკურნალეს და საბოლოოდ ფეხბურთელობისთვის თავის დანებება მოუხდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ გაიოზ დარსაძე თბილისშია და ნოდარ ახალკაცს უდგას მხარში. 1991 წელს გიგა ნორაკიძის დროინდელ ეროვნულ ნაკრებში ერთ-ერთ მწვრთნელად მუშაობს, შემდეგ სათავეში უდგება თბილისის „ანცს", 1993 წელს 16-წლამდელთა ნაკრებს ანდობენ, 1995 წელს ფეხბურთის ფედერაციაში მწვრთნელთა განათლების დირექტორი ხდება, 1998 წელს ცოტა ხნით ხელმძღვანელობს „რუსთავს" და მალევე ერთი წლით წყალტუბოს „სამგურალში" გადადის, რომელიც საქართველოს თასის ფინალში გაჰყავს.

ამის შემდეგ, დარსაძე 2001 წლამდე უმუშევარია, ხოლო 2001-ში მწვრთნელთა განათლების დირექტორის თანამდებობას უბრუნდება. 2002 წელს მუშაობას იწყებს თბილისის „ამერის" მთავარ მწვრთნელად. მისი და „ამერის" თანამშრომლობა გრძელდება 2003 წლის ბოლომდე, რის შემდეგაც დარსაძე ფედერაციაში აგრძელებს საქმიანობას ტექნიკურ დირექტორად.

უფრისი ნოდარ ახალკაცის ერთგული მოსწავლისა და ადამიანის დაწინაურება ახალკაცი უმცროსის პრეზიდენტობის პერიოდში გასაკვირი ნამდვილად არ არის და არ იქნება.

## ხუთი მედლის ორშაბათი




მე-14-15 გვერდი

AFP ჰელსინკიდან

შვედმა კაისა ბერგკვისტმა ოქროს მედალი მოიგო მაგრამ მსოფლიო რეკორდი ვერ დაამყარა

# ამხანაგური მატჩი

### ახალგაზრდული ნაკრებები



მატჩის ერთადერთი გოლი ბექა გოცირიძემ (მარჯვნივ) გაიტანა

ბადრი კოპილაძის ფოტო

# ამხანაგობა მოსაწყენი არ უნდა იყოს! გაიაზრეთ აზერი

თბილისი. 8 აგვისტო. 19 საათი. მიხეილ მესხი. 200 მაყურებელი

**საქართველო 1:0 აზერბაიჯანი**

1:0 გოცირიძე (82)

**საქართველო:** რევიშვილი, თომაშვილი, ხიდეშელი (გვაძაბია 77), ელბაქიძე (დ. მჭედლიშვილი 46), ლევინიანიძე, ჩირიკაშვილი (ლაფერაშვილი 79), ალადაშვილი (ბოლაგა 79), კანკავა, გ. ფიფია (გოცირიძე 61), წინამძღვრიშვილი (ბესარაშვილი 86), გრიგალაშვილი (განუგრავა 46)

**მწვრთნელი:** კობა ჟორჟიკაშვილი

**აზერბაიჯანი:** მაჯიდოვი, ალახვერდიევი (ადიშირინოვი 85), ნამაზოვი (განიევი 83), ლევინი, გუსეინოვი (ნადიროვი 57), რ. აბასოვი (ზეინალოვი 84), ახტიამოვი (ალაკიშიევი 46), მურადოვი (ჯ. აბასოვი 54), ამირხანოვი (რაჯაბოვი 46), მალიკოვი, გურბანოვი (მამადოვი 73)

**მწვრთნელი:** ვაგიფ სადიგოვი

**გაფრთხილება:** გრიგალაშვილი (13), ნამაზოვი (15), მურადოვი (18), ლევინიანიძე (61), მჭედლიშვილი (75)

**მსაჯი:** გიორგი ვადაჭკორია (საქართველო)

**კოტე კეკელია**

**გუშინ** ვაკეში, „მიხეილ მესხზე" ფეხბურთელთა ნათესავებმა, ჟურნალისტებმა, მენაყინეებმა და აზერბაიჯანელმა სტუმრებმა — სულ ორასამდე კაცმა — საქართველოს განახლებული ახალგაზრდული ნაკრების პირველი თამაში ვნახეთ. ჩვენი გუნდი ამხანაგურ მატჩში აზერბაიჯანელებს გაეჯიბრა.

ორივე ნაკრებს ახალგაზრდული კი ერქვა, მაგრამ ფეხბურთელებს თანატოლებს ვერ დავარქმევთ: მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრებს ახალი მწვრთნელი, კობა ჟორჟიკაშვილი ჩაუდგა თავში, ვისმა გაწვრთნილმა 18-წლამდელებმაც ამას წინათ იტალიაში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი მოიგეს. ახალი მოდელის ახალგაზრდული ნაკრებიც მეტწილად იმ გუნდის ფეხბურთელებით შეიკრიბა.

ქართული ფეხბურთის მესვეურთა მიზანი ასეთია: ეს ჭაბუკი ფეხბურთელები აქედანვე უნდა მოემზადონ, რათა მომავალ შესარჩევ ციკლში ისეთივე უხეიროდ არ ითამაშონ, როგორც მათი წინამორბედები ირჯებოდნენ.

რას გახდება ამ თაობის გუნდი მომავალში, ამაზე ახლა ვერაფერს მოგახსენებთ, რაკი ამ მიმოხილვის მიზანი მომავლის განჭვრეტა არ არის. აქ მხოლოდ უკვე მომხდარ ამბავზე, ანუ გუშინდელ თამაშზე ვთქვათ.

სათქმელი კი ის არის, რომ ჩვენმა ნაკრებმა ცუდად ითამაშა, თუმცა მოიგო — ზოგჯერ ასეც ხდება ხოლმე.

პირველი ტაიმი საოცრად ულიმღამო და მოსაწყენი იყო. მაინცდამაინც დიდი ბედენა ვერც მეორე გამოდგა, თუმცა იერიშების სიმწვავით პირველს სჯობდა. ოღონდაც ეგაა, რომ მწვავე მომენტები საქართველოს ნაკრების კართან იქმნებოდა.

შესვენებამდე თამაში ისეთი იყო, დასაწერი ბევრიც არაფერი გვაქვს. დანიელ ახტიამოვმა სამჯერ სცადა თავურით ქართველთა კარის დალაშქვრა და არ გამოუვიდა. სტუმართა კარში თბილისის „დინამოდან" რუსულ „როსტოვში" ახლახან გადაბარგებულმა კახა ალადაშვილმა დაარტყა ერთადერთხელ მე-40 წუთზე და სულ ეგ იყო.

ქართველებმა ნაღდი მომენტი მეორე ტაიმის დაწყებიდან ათ წუთში შექმნეს, როცა იმავ ალადაშვილის ფლანგურ პასზე ამერელმა რატი წინამძღვრიშვილმა ვარდნაში იოტისოდენად დააგვიანა, ამის მერე კი თამაშმა მთლიანად ქართველთა საჯარიმოსთან გადაინაცვლა.

რამალ გუსეინოვმა მეკარის ბაქნიდან ააცილა; კუთხურიდან ჩაწოდებულ-დარტყმული დინამოელმა გულვერდ თომაშვილმა კარის ხაზიდან თავით გამოიტანა; ივგან ნადიროვმა ხარიხას გაარტყა; გიორგი ხიდეშელის მეკარისთვის ცუდად დაგორებულ ბურთს მურად ალაკიშიევმა მიუსწრო, მაგრამ ნუკრი რევიშვილმა იყოჩაღა; თომაშვილს კიდევ ერთხელ მოუხდა კარის ხაზიდან ბურთის გამოტანა. ერთი სიტყვით, აზერბაიჯანელებს მომენტების უკმარისობა არ ჰქონიათ და ისევ საკუთარ უკლასობას თუ დააბრალებენ, გოლი რომ ვერ გაიტანეს.

ქართველთა გოლი კი 82-ე წუთზე გავიდა. იშვიათი კონტრიერიშისას რატი წინამძღვრიშვილმა ზუსტი პასი მისცა შეცვლაზე შესულ ზესტაფონელ ბექა გოცირიძეს, რომელსაც ბურთისთვის თავის დახვედრებაღა სჭირდებოდა.

მიმოხილვასაც ამით დავამთავრებდით, 86-ე წუთზე ერთი შეცვლა რომ არა — წინამძღვრიშვილის მაგიერ შესულ მიხეილ ბესარაშვილს მაისურაზე ნომერი ლეიკოპლასტირით ჰქონდა მიხატული. ეს, ცხადია, ფეხბურთელის სირცხვილი არ არის — ჩაიცვა ის, რაც მისცეს...

# გაიოზ დარსაძის საოლიმპიადო ყაზახეთელი

**საქართველოს** ნაკრების გუშინ დანიშნულმა მწვრთნელმა გაიოზ დარსაძემ ყაზახეთთან 17 აგვისტოს შესარჩევი მატჩისთვის ოცკაციანი შემადგენლობა გუშინვე გამოაცხადა.



შალვა ლონლაძე

ეროვნული გუნდის შემადგენლობა მაინცდამაინც სახეცვლილი არ არის, თუმცა რჩეულთა შორის ორი ისეთი ფეხბურთელია, დიდხანს რომ გვემარჩიელა, ვერ წარმოვიდგენდით ნაკრებში მათ გამოძახებას — ზესტაფონელები, 26 წლის შალვა ლონლაძე და 27 წლის კახა ჩხეტიანი. ნაკრებში უხმეს უკვე რუსული „როსტოვის" 22 წლის მცველ კახა ალადაშვილს, თბილისის „დინამოს" 24 წლის ნახევარმცველ დავით ოდიკაძესა და ასევე „ზესტაფონის" 17 წლის ნახევარმცველ გიორგი განუგრავას, თუმცა ეროვნულში მათი დაძახება ლონლაძე-ჩხეტიანისგან განსხვავებით დროის ამბავი უფრო იყო.

საყაზახეთო შემადგენლობაში დანარჩენებს ნაკრებში ადრეც უთამაშიათ.

— ჩვენ უარს არც ერთ ფეხბურთელზე არ ვამბობთ, ყველას ვაკვირდებით და კონკრეტული მატჩისთვის ვინც უკეთ იქნება მზად, მას გამოვიძახებთ. ამჯერად კი ასეთი შემადგენლობა შევარჩიეთ — თქვა გაიოზ დარსაძემ.

***მეკარეები:*** *ზვიად სტურუა (დინამო), გიორგი ლომაია (ხიმკი, რუსეთი);*

***მცველები:*** *ზურაბ ხიზანიშვილი (რეინჯერსი, შოტლანდია), კახა კალაძე (მილანი, იტალია), მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი), ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი), კახა ალადაშვილი (როსტოვი, რუსეთი), შალვა ლონლაძე (ზესტაფონი);*

***ნახევარმცველები:*** *ზურაბ მენთეშაშვილი (სკონტო, ლატვია), ლევან ცქიტიშვილი (ვოლფსბურგი, გერმანია), ჯაბა კანკავა (ალანია, რუსეთი), გოგა გახოკიძე (ტვენტე, ჰოლანდია), გიორგი განუგრავა (ზესტაფონი), დავით ოდიკაძე (დინამო);*

***თავდამსხმელები:*** *დავით მუჯირი (შტურმი, ავსტრია), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), გიორგი დემეტრაძე (ალანია, რუსეთი), ლადო ახალაია (ციურიხი, შვეიცარია).*

დავძინოთ, რომ შალვა ლონლაძეს სწორედ 17 აგვისტოს 27 წელი შეუსრულდება.

**ქობა ინასარიძე**

# ყაზახებს და ქართველებს სლავები განსჯიან

**16 და 17 აგვისტოს** საქართველოს ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებები ოფიციალურ მატჩებს გამართავენ ყაზახებთან — ეს ყველამ იცით, ახალი კი ისაა, რომ უეფამ საამმატჩებოდ მსაჯები შეარჩია. ეროვნულ ნაკრებთა თამაშს, რომელიც 17 აგვისტოს ალმაათის ცენტრალურ სტადიონზე იქაური დროით 18 საათზე დაიწყება, სლოვაკი მსაჯები მოემსახურებიან: რიშარდ ჰავრილა (არბიტრი), მარიან რუჟბარსკი და ვლასტისლავ ლასკოვსკი (ასისტენტები), პაველ ოლშაკი (სათადარიგო არბიტრი); უეფას დელეგატი თბილისში არაერთხელ ნამყოფი ფრანგი მიშელ ვოტროა, ინსპექტორი კი რუსი ნიკოლაი ლევნიკოვი.

როგორც გითხარით, ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩი ერთი დღით ადრე იმავე სტადიონზე გაიმართება და იქაური დროით 15 საათზე დაიწყება. ამ შეხვედრას სერბები განსჯიან — გორან მიხაილოვიჩი (არბიტრი), იგორ რადოიჩიჩი და ბრანკო პავლოვიჩი (ასისტენტები), გორან იოვანოვიჩი (სათადარიგო არბიტრი).

ბარემ აქვე გეტყვით, რომ ყაზახეთის ნაკრები საქართველოსთან სათამაშოდ მზადებას დღეიდან იწყებს. მთავარი ნაკრების თავკაცმა სერგეი ტიმოფეევმა კი შეკრების დაწყებამდე უკვე ერთი ცვლილება შეიტანა სიაში — აქამდე გამოძახებული რინატ დუბინსკის (ეკატერინბურგის „ურალის" მცველი) ნაცვლად გუნდში „ალმათის" ნახევარმცველ ანდრეი ტრავინს უხმო.

**ქახა ზალამბერიძე**

### ინგლისი

ჩემპიონატი. II ტური

პრესტონი 1:1 დერბი

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა. I ტური

აუე 2:1 ალემანია

### საფრანგეთი

II დივიზიონი. II ტური

დიჟონი 1:1 კლერმონი

### ნორვეგია

ტიპელიგა XVII ტური

ვიკინგი 1:1 სტარტი

### შვედეთი

ალსვენსკა. XVII ტური

სუნდსვალი 2:2 გეფლე

ჰელსინგბორგი 0:2 გიოტებორგი

ელფსბორგი 2:0 ჰეკენი

სუპერეტა. XVIII ტური

აიკ 2:0 ნორჩიოპინგი

გაის 2:3 მიალბი

### ჩეხეთი

გამბრინუსლიგა. I ტური

სიგმა 1:0 ბანიკი

### ირლანდია

პრემიერლიგა. XX ტური

შელბურნი 3:3 დროჰედა



საქართველოს ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს — 41 წლის გაიოზ დარსაძე. ეს ამბავი მოულოდნელი იყოო, ვერ ვიტყვით, ეროვნული გუნდიდან ალენ ჟირესის გათავისუფლების შემდეგ მის მემკვიდრედ სწორედ დარსაძეს ასახელებდნენ.

ფედერაციის გუშინდელი აღმასკომის სხდომაც უფრო იმიტომ შედგა, რომ გაიოზ დარსაძის ნაკრების მწვრთნელად დანიშვნა იურიდიულად გაფორმებულიყო. პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცის წამოყენებული კანდიდატურის დამტკიცებას ერთის გარდა ყველა აღმასკომელი უყოყმანოდ დაეთანხმა.

გაიოზ დარსაძე საქართველოს ნაკრებს იქამდე უთავკაცებს, ვიდრე ფედერაცია ახალ, მაღალი კვალიფიკაციის უცხოელ მწვრთნელს არ მოძებნის, რაც მიმდინარე შესარჩევი ციკლის დასრულების შემდეგ არის მოსალოდნელი. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობს ფედერაციის პრეზიდენტი...



მამუკა აბუსერიძე

**საქართველოს** ეროვნულ გუნდს მთავარი მწვრთნელის გარდა მეკარეების მწვრთნელიც ახალი ჰყავს — თბილისის „ლოკომოტივში" მომუშავე მამუკა აბუსერიძე.

**— ელოდით, რომ ნაკრებში სამუშაოდ მიგიწვევდნენ?**

— სიმართლე გითხრათ, არ მეგონა. ასე უცებ თუ დამამტკიცებდნენ, ისე, შინაგანად ვგრძნობდი.

**— თქვენამდე მეკარეებს ოთარ გაბელია ავარჯიშებდა...**

— ოთარ გაბელია ჩემი უფროსი კოლეგა და მეგობარია. მას დიდ პატივს ვცემ. რა თქმა უნდა, უხერხულობის შეგრძნება მაქვს, მის ადგილს რომ ვიკავებ, მაგრამ მეორე მხრივ, ჩემთვის საამაყოცაა ბატონ ოთარს რომ ვცვლი.

**— სტურუა და ლომაია დღესდღეობით უკონკურენტონი არიან?**

— ვფიქრობ, კი, თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ გარდა სხვა მეკარეს არ გამოვიძახებთ.

**— გაიოზ დარსაძემ ისინი თავად გამოიძახა თუ აზრს თქვენც დაგეკითხათ?**

— ჩვენი აზრები ერთმანეთს დაემთხვა.



კახა ცხადაძე

# გაიოზ ახალ კაცის ახალხალხი

## საქართველოს ნაკრების ზესტა ფონი და ზესტაფონის მაგნიტური ფონი

— საქართველოს ნაკრების მწვრთნელი უნდა ხელმძღვანელობდეს ობიექტურობით და პატრიოტული მოტივებით. მწვრთნელი ფეხბურთელთათვის უნდა იყოს ავტორიტეტი, საფეხბურთო ბაზარში ჩახედული, ერკვეოდეს ფეხბურთელთა შესაძლებლობებში და ჰქონდეს სელექციის უნარი — ამ ყველაფრის გათვალისწინებით კი საქართველოს ნაკრების დროებით მწვრთნელად ფედერაციის აღმასკომმა გაიოზ დარსაძე დაამტკიცა. მისი თანაშემწე და მეკარეების მწვრთნელი მამუკა აბუსერიძე იქნება. გვსურდა, რომ დარსაძეს დახმარებოდა თემურ ქეცბაიაც, მაგრამ დღესდღეობით ის კვიპროსის „ანართოსისის" მოთამაშე-მწვრთნელია, მის გუნდს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მოხვედრის შანსი აქვს და ძალიან დაკავებულია. თუმც თემურ ქეცბაიასთან მაინც მჭიდრო ურთიერთობა გვექნება ისევე, როგორც „დინამოს" თავკაც კახა ცხადაძესთან.

— ჩვენ ვეძებთ მაღალკვალიფიციურ უცხოელ მწვრთნელს, ისეთს, რომელიც მიზანს რეალობად აქცევს და საქართველოს ნაკრებს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე ათამაშებს. ასევე ვმუშაობთ მყარი ფინანსური გარანტიების მისაღებად, ვეძებთ სპონსორებს. დღესდღეობით ფეხბურთის ფედერაციას არ აქვს იმის ფინანსური საშუალება, რომ მაღალკვალიფიციური მწვრთნელი მოიწვიოს. უცხოელ სპეციალისტს რომ ჩამოიყვან, გამართული საფეხბურთო ინფრასტრუქტურა უნდა დაახვედრო. ბოლოს და ბოლოს, ნაკრებს სამოსის პრობლემა არ უნდა ჰქონდეს. ჩვენ კი ლოდინის დრო არ გვაქვს და რეფორმებს ახლავე ვიწყებთ. როცა უცხოელი ჩამოვა, ნაკრების შენებას ნულიდან აღარ დაიწყებს, მას საფუძველი გამზადებული დახვდება, რის გამოც დავნიშნეთ კიდეც დროებითი მწვრთნელი. ჩვენ ვესაუბრეთ საქართველოს ნაკრების წამყვან ფეხბურთელებსაც, მათთან აქტიური კონსულტაციები გვქონდა და საბოლოოდ შევთანხმდით, რომ ვერც ერთი უცხოელი მწვრთნელი სასურველ შედეგს ერთი ხელის მოსმით ვერ აჩვენებს.

— გაიოზ დარსაძეს ფედერაციაში ისედაც ბევრი საქმე აქვს, ის ტექნიკური დირექტორია, თუმც ამ ეტაპზე მისთვის მთავარი ეროვნული გუნდია. მისი ნაკრები ახალი შესარჩევი ციკლისთვის მაქსიმალურად მზად უნდა იყოს. იქამდე კი, საქართველოს ნაკრებს მინიმუმ რვა მატჩი ექნება, მათგან ხუთი ოფიციალური, მიმდინარე შესარჩევ ციკლში დარჩენილი შეხვედრები. ნაკრები, ალბათ, მონაწილეობას მიიღებს მალტის საერთაშორისო ტურნირში, ასევე მოლაპარაკებები გვაქვს იორდანიის ნაკრებთან თბილისში ამხანაგური მატჩის გასამართად, გვსურს, მსოფლიოს ჩემპიონატამდე ჩემპიონატის მონაწილე რომელიმე გუნდსაც გავეჯიბროთ. ერთი მატჩის ჩატარება მომავალ აგვისტოშიც კარგი იქნებოდა. მოკლედ, ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპამდე ნაკრები მომზადებული უნდა იყოს, ექსპერიმენტების დრო მერე აღარ იქნება.

ნოდარ ახალკაცმა კიდევ საკმაო ხანს ისაუბრა, თქვა, რომ მაქსიმალურად უნდა წახალისდნენ საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები და ეროვნულ გუნდში გამოსაძახებლად სულაც არაა აუცილებელი, ფეხბურთელი რუსეთის მეორე ლიგის გუნდში თამაშობდეს.

ახალკაცი „ზესტაფონისა" და „თბილისის" დავასაც შეეხო, ის ამ გუნდების ხელმძღვანელებთან შეხვედრას დღეს აპირებს. პრეზიდენტმა კიდევ აღნიშნა, რომ ფედერაციას სააქციო საზოგადოება „ფეროსთან" კონტრაქტი აქვს, თუმცა სპონსორული პირობების გაუმჯობესება სურს...

ალმასკომის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციას, რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრების ახალდანიშნული მწვრთნელიც ესწრებოდა და სამომავლო გეგმებზე მოკლედ ილაპარაკა, მერე კი „სარბიელის" კითხვებს უპასუხა...

— რა იქნება პირველი საქმე, რასაც ნაკრებში გააკეთებთ?

— გუნდს გავესაუბრები და იმ ნორმებს გავაცნობ, რაც საზოგადოდ მიღებულია.

— ანუ?

— ვისაუბრებ დისციპლინაზე, ეროვნულ ღირსებაზე. ბიჭებს ვეტყვი, რომ ისინი ქართული დროშის ქვეშ თამაშობენ.

**— ეროვნული გუნდის თავკაცობა ყველა მწვრთნელისთვის დიდი პატივია მაგრამ... წარუმატებლობის არ გეშინიათ?**

— ფეხბურთელებისთვის ადრეც ბევრჯერ მითქვამს, რომ ყველას თავისი საქმე აქვს, საქართველოს ნაკრები კი საერთო საქმე და საზრუნავია. შიში რა მოსატანია, როცა საქვეყნო საქმის კეთებას იწყებ.

**— ფედერაციის პრეზიდენტმა თქვა, რომ გაიოზ დარსაძე ნაკრების დროებითი მწვრთნელია შესარჩევი ეტაპის ბოლომდეო. დავუშვათ და, საქართველოს ნაკრებმა თქვენი ხელმძღვანელობით ყველა მატჩი მოიგო. მერე რა იქნება?**

— ახლა ჯერ გეტყვით, მერე რა იქნება. დღესდღეობით კი ფედერაციის ტექნიკური დირექტორი და საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ვარ.

**— საყაზახეთო შემადგენლობა უკვე გამოაცხადეთ. პირდაპირ რომ გითხრათ, თქვენს სიაში უფრო ბევრ დებიუტანტსა და ახალგაზრდას ველოდით...**

— ეროვნულ გუნდში ინტეგრირება სათუთი პროცესია, ფეხბურთელი საამისოდ ნელ-ნელა უნდა გავზარდოთ. ისე კი, დებიუტანტები ამ სიაშიც არიან.

**— შესარჩევი ციკლის დარჩენილ მატჩებში თქვენთვის შედეგზე მთავარი ახალი გუნდის ჩამოყალიბება იქნება?**

— ბედნიერი ვიქნები, თუ ამას შევძლებ და ჩემს მემკვიდრეს ძლიერი, ნიჭიერი ფეხბურთელებით სავსე გუნდს დავახვედრებ, მოვძებნი ტალანტებს, რომლებიც შემდეგ ნაკრებს გამოადგებიან.

**ძოზა ინასარიძე**

**გუშინდელ** პრესკონფერენციაზე ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა თქვა, გვსურს, გაიოზ დარსაძის თანაშემწედ „დინამოს" თავკაცმა კახა ცხადაძემ იმუშაოს და ამასთან დაკავშირებით მას მოველაპარაკებითო.

გუშინვე ამის თაობაზე საკუთარი პოზიცია დააფიქსირეს „დინამოს" მმართველმა დირექტორმა გიორგი ტყავაძემ და თავად კახა ცხადაძემ.

*გიორგი ტყავაძე:* კლუბის ხელმძღვანელობას ამის თაობაზე არავინ დაკავშირებია. ჩვენთვის მოულოდნელიც კი იყო ეს ინფორმაცია. მიგვაჩნია, რომ ასეთ საკითხებზე მოლაპარაკება კლუბის ხელმძღვანელობასთან წინასწარ უნდა წარმოებდეს. რაც შეეხება ჩვენს პოზიციას, საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი" ყოველთვის მზად არის, გვერდში დაუდგეს საქართველოს ნაკრებს, მაგრამ ჩვენი მთავარი მწვრთნელის ეროვნულ გუნდში ასისტენტად მუშაობა მიზანშეუწონლად მიგვაჩნია.

*კახა ცხადაძე:* დღეს დამიკავშირდა ფედერაციის პრეზიდენტი ბატონი ნოდარ ახალკაცი. ეს შემოთავაზება ჩემთვის მოულოდნელი იყო. მე პრეზიდენტს ხვალისთვის შეხვედრა დავუთქვი, ვინაიდან მანამდე ეს საკითხი კლუბის ხელმძღვანელობასთან უნდა განმეხილა. კლუბის უფროსობასთან ერთობლივად გადავწყვიტეთ: ვინაიდან თბილისის „დინამო" ჯერაც ჩამოყალიბების პროცესშია და საქმე უამრავია, ჩემი თუნდაც რამდენიმე დღით „დინამოს" საქმეებიდან მოწყვეტა მიუღებელია. სხვა მხრივ კი, ეროვნულ ნაკრებს ყველანაირად გვერდში ვუდგავარ და ნებისმიერი დახმარებისთვის მზად ვარ.

**გიორგი ვაშაძიძე**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

პირველი წრე

2 ტური მიმოხილვა

# კვინტეროში ორი ჩემპიონია

*ამ შაბათ-კვირასაც ისეთი სიცხე დაიჭირა, გაგაბრუებდა კაცს. ამიტომაც იყო, ნამატჩევს ლამის ყველა მწვრთნელი უმოძრაო და დუნე თამაშს თაკარა მზეს რომ აბრალებდა. არც ვამტყუნებთ, მაგრამ ნეტამც ისე იყოს, აგრილებისთანავე ქართულმა გუნდებმა ფორმულა 1-ის სისწრაფე ჩართონ. გვჯერა თუ არ გვჯერა, ვინატროთ მაინც, ჩვენი რა მიდის...*

*მეორე ტურმა უმაღლესი და პირველი ლიგების ჩემპიონები გაალიდერა: „დინამო" და „ამერი" ქულადაუკარგავად მიშლიგინებენ, მაგრამ მაქსიმუმ კიდევ ერთი ტური გაძლონ ასე — მეოთხეში ხომ ერთმანეთს ხვდებიან. ცხრილის ფსკერზე კი ერთადერთი ნულქულიანი და ნულგოლიანი „თბილისია", თუმცა არა გვგონია, იქ დიდხანს გაჩერება იკადროს...*

### მეგრელაძე ბაში-აჩუკივით

დინამოელმა გიორგი მეგრელაძემ „თბილისს" მისალმება არ აცალა, 45-ე წამზევე გაუტანა და ჩემპიონებმა სწორედ ამ გოლით იმარჯვეს, მაგრამ რა, თამაში თამაშად არ ვარგოდა. „დინამოს" დისკვალიფიცირებულმა და ტრიბუნიდან მაცქერალმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ მატჩის შემდეგ თქვა, ჩემს ფეხბურთელებს სერიოზულად დაველაპარაკები, ასე აგდებულად თამაში არ შეიძლებაო.

### ამერი — იმერლების რისხვა

გიორგი ჩიხრაძის „ამერმა" მიჯრით მეორედ მოიგო მშრალზე და ორივეჯერ იმერლები გაამწარა — ქუთაისის „ტორპედოს" ამბიციური „ზესტაფონიც" მიაყოლა. უმაღლესი ლიგის დებიუტანტს ამბიცია ჰაერზე არ მოსვლია და ფეროელთა დასეტყვის შემხედვარე ბევრი გულშემატკივარი ამაში დააჯერა კიდეც.

### მიშა და გრიშა: დუეტმა ამჯერად ვერ გაამართლა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი გრიგოლ ცაავა და შიდა ქართლის გუბერნატორი მიხეილ ქარელი ამჯერადაც დაესწრნენ „ცხინვალის" თამაშს, მაგრამ წინა ტურში თუ სამაჩაბლოელებმა „სოხუმს" მოუგეს, ახლა გორის „ქართლზე" თელავის „კახეთთან" დაიჩაგრნენ. მოკლედ, მეორე ვიზიტი ფეხბედნიერი ვერ გამოდგა, მაგრამ ერთ შენიშვნასაც შევიტანთ: ისე ნუ გაიგებთ, თითქოს ცაავა ცხინვალელთა ფანატიკოსი ქომაგი იყოს — უბრალოდ, ამ კლუბის გაუმაღლესლიგელება პოლიტმოვლენაა და ფედერაციის გენმდივნის სტუმრობაც ერთგვარი მუხტია ფეხბურთელებისთვის.



რევაზ გეწაძის „ბორჯომი" ჯონი შალამბერიძის „კოლხეთს" გადააფრინდა

გაიოზ ქითილაძის ფოტო

### ლოკომოტივის ძელ-თრიძე

ვერა და ვერ პოულობს თავის თამაშს ნოდარ აკობიას „ლოკომოტივი". ასეთი რა ჰიპნოზი გაუკეთა სომხურმა „ბანანცმა" რკინიგზელებს, რომ ვითომდა საჩემპიონოდ შემართულები რიგით გუნდად გადაიქცნენ. თბილისელებმა ზედიზედ მეორე ფრე, თამაშეს, ისე კი, ქუთაისში არ გაუმართლათ. ხშირად გინახავთ, ერთ გუნდს სამჯერ გაერტყას ბურთი ძელისთვის? არადა, გიორგი ონიანმა, დავით სირაძემ და გიორგი სეთურიძემ სათითაოდ დატოვეს რკინის საგანზე ანაბეჭდები.

### ამოიღეთ, ნუ გერიდებათ

მცველი და, მით უმეტეს, მეკარე, ბოლო იმედის ჯარიმას რომ არ კიდებს, მგონი, საჭოჭმანო არაფერი რჩება — წითელი ბარათი უნდა მიიღოს. აი, მეორე ტური გავიდა და ქართველი მსაჯები რატომღაც ერიდებიან ფეხბურთელების გაძევებას. მაგალითად, ბოლნისში მალხაზ მაისურაძემ „დილას" მეკარე თამაზ ილურიძის უხეშობას წაუყრუა, ორი ასეთი მომენტი პირველ ტურშიც იყო (თანაც ერთ თამაშში). თუ წესია, წესი იყოს, რისი გერიდებათ?

### სიცხე მატულობს, გოლები იკლებს

ერთხელაც ვახსენოთ ხვატი და რადგან კუსნაბიჯა ტემპი ამის ბრალია, გამოდის, გოლების სიმწირეშიც შეაქვს „თავისი წვლილი". წინა ტურში 13 ბურთი გავიდა და რა ცოტაა, ვთქვით, მაგრამ ამ უქმეებზე ბადეებმა უფრო დაისვენა — 11 გოლი 8 თამაშში. აქაც აგრილებას დაველოდოთ...

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ამერი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| სიონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ბათუმი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ცხინვალი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ბორჯომი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| კოლხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| კახეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ზესტაფონი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| დილა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| ლოკომოტივი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ვიტ ჯორჯია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ტორპედო | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| სპარტაკი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| სოხუმი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| თბილისი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |

### სიმბოლური ნაკრები

ჯაბა დვალი — სიონი
გიორგი მარცვალაძე — ვიტ ჯორჯია
დავით გოლძიაძე — სიონი
ალექსანდრე კოშკაძე — ამერი
ალექსანდრე კაიდარაშვილი — ამერი
რევაზ გეწაძე — ბორჯომი
ბიძინა თედორაძე — ბათუმი
ვახტანგ ხვადაგიანი — ამერი
ზვიად ჯილაძე — სოხუმი
გულვერდ თომაშვილი — დინამო
გიგა იაშვილი — კახეთი

გუნდი: ამერი

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

| სტადიონი | მატჩი | მინდვრის მდგომარეობა | ორგანიზაცია | დასწრება | საშუალო ბალი |
|---|---|---|---|---|---|
| „ამერი" თბილისი | ამერი 2:0 ზესტაფონი | 10,0 | 8,0 | 9,5 | 9,1 |
| „ტორპედო" ქუთაისი | ტორპედო 0: 0 ლოკომოტივი | 9,5 | 7,5 | 8,5 | 8,5 |
| „ოლიმპი" თბილისი | ბორჯომი 1:0 კოლხეთი | 10,0 | 7,0 | 4,5 | 7,1 |
| „თამაზ სტეფანია" ბოლნისი | სიონი 2:0 დილა | 8,0 | 7,5 | 4,5 | 6,6 |
| „შევარდენი" თბილისი | სპარტაკი 0:0 ბათუმი | 9,0 | 6,5 | 4,5 | 6,6 |
| „ეროვნული" თბილისი | დინამო 1:0 თბილისი | 7,0 | 8,5 | 4,0 | 6,5 |
| „არმაზი" მცხეთა | ვიტ ჯორჯია 2: 2 სოხუმი | 8,0 | 7,0 | 4,0 | 6,3 |
| „ქართლი" გორი | ცხინვალი 0:1 კახეთი | 7,0 | 6,5 | 2,0 | 5,1 |

### ბომბარდირები

2-მეგრელაძე — დინამო
დვალი — სიონი
მარცვალაძე — ვიტ ჯორჯია

### მომდევნო ტური

19 აგვისტო, პარასკევი
სოხუმი – ბორჯომი
20 აგვისტო, შაბათი
ლოკომოტივი – ამერი
დილა – ტორპედო
ბათუმი – სიონი
კოლხეთი – სპარტაკი
ზესტაფონი – დინამო
კახეთი – ვიტ ჯორჯია
21 აგვისტო, კვირა
თბილისი – ცხინვალი

# საქართველოს 17 ჩემპიონატი

## პირველი ლიგა

## კალენდარი

### პირველი წრე

**I ტური**

11 აგვისტო, ხუთშაბათი
მეშახტე – ზესტაფონი 2
ამერი 2 – ზუგდიდი
ლოკომოტივი 2 – დინამო 2
12 აგვისტო, პარასკევი
ჩიხურა – ლიახვი
გურია – თბილისი 2
რუსთავი – ვიტ ჯორჯია 2
მერანი – გაგრა
მესხეთი – მეშაქრე
13 აგვისტო, შაბათი
მაღაროელი – საგარეჯო

**II ტური**

18 აგვისტო, ხუთშაბათი
ვიტ ჯორჯია 2 – მერანი
მეშაქრე – გაგრა
დინამო 2 – მაღაროელი
ზუგდიდი – ლოკომოტივი 2
19 აგვისტო, პარასკევი
მესხეთი – მეშახტე
ზესტაფონი 2 – ჩიხურა
ლიახვი – ამერი 2
თბილისი 2 – რუსთავი
საგარეჯო – გურია

**III ტური**

26 აგვისტო, პარასკევი
ამერი 2 – ზესტაფონი 2
27 აგვისტო, შაბათი
მაღაროელი – ზუგდიდი
მერანი – თბილისი 2
გურია – დინამო 2
ლოკომოტივი 2 – ლიახვი
მეშახტე – მეშაქრე
რუსთავი – საგარეჯო
28 აგვისტო, კვირა
ჩიხურა – მესხეთი
29 აგვისტო, ორშაბათი
გაგრა – ვიტ ჯორჯია 2

**IV ტური**

9 სექტემბერი, პარასკევი
ზუგდიდი – გურია
მეშახტე – ჩიხურა
მესხეთი – ამერი 2
ლიახვი – მაღაროელი
საგარეჯო – მერანი
თბილისი 2 – გაგრა
ზესტაფონი 2 – ლოკომოტივი 2
11 სექტემბერი, კვირა
დინამო 2 – რუსთავი
მეშაქრე – ვიტ ჯორჯია 2

**V ტური**

16 სექტემბერი, პარასკევი
ამერი 2 – მეშახტე
რუსთავი – ზუგდიდი
გაგრა – საგარეჯო
მერანი – დინამო 2
მაღაროელი – ზესტაფონი 2
გურია – ლიახვი
17 სექტემბერი, შაბათი
ჩიხურა – მეშაქრე
ვიტ ჯორჯია 2 – თბილისი 2
ლოკომოტივი 2 – მესხეთი

**VI ტური**

24 სექტემბერი, შაბათი
ზუგდიდი – მერანი
მეშახტე – ლოკომოტივი 2
მესხეთი – მაღაროელი
ლიახვი – რუსთავი
საგარეჯო – ვიტ ჯორჯია 2
მეშაქრე – თბილისი 2
ზესტაფონი 2 – გურია
26 სექტემბერი, ორშაბათი
დინამო 2 – გაგრა
ჩიხურა – ამერი 2

**VII ტური**

28 სექტემბერი, ოთხშაბათი
თბილისი 2 – საგარეჯო
29 სექტემბერი, ხუთშაბათი
ამერი 2 – მეშაქრე
ვიტ ჯორჯია 2 – დინამო 2
30 სექტემბერი, პარასკევი
გურია – მესხეთი
გაგრა – ზუგდიდი
მაღაროელი – მეშახტე
ლოკომოტივი 2 – ჩიხურა
მერანი – ლიახვი
რუსთავი – ზესტაფონი 2

**VIII ტური**

4 ოქტომბერი, სამშაბათი
ლიახვი – გაგრა
ამერი 2 – ლოკომოტივი 2
ჩიხურა – მაღაროელი
მეშახტე – გურია
ზესტაფონი 2 – მერანი
ზუგდიდი – ვიტ ჯორჯია 2
დინამო 2 – თბილისი 2
მეშაქრე – საგარეჯო
მესხეთი – რუსთავი

**IX ტური**

9 ოქტომბერი, კვირა
მერანი – მესხეთი
ლოკომოტივი 2 – მეშაქრე
გურია – ჩიხურა
რუსთავი – მეშახტე
ვიტ ჯორჯია 2 – ლიახვი
10 ოქტომბერი, ორშაბათი
თბილისი 2 – ზუგდიდი
მაღაროელი – ამერი 2
საგარეჯო – დინამო 2
გაგრა – ზესტაფონი 2

**X ტური**

13 ოქტომბერი, ხუთშაბათი
მეშახტე – მერანი
ჩიხურა – რუსთავი
14 ოქტომბერი, პარასკევი
ლოკომოტივი 2 – მაღაროელი
ამერი 2 – გურია
ზესტაფონი 2 – ვიტ ჯორჯია 2
ლიახვი – თბილისი 2
ზუგდიდი – საგარეჯო
მეშაქრე – დინამო 2
მესხეთი – გაგრა

**XI ტური**

21 ოქტომბერი, პარასკევი
გაგრა – მეშახტე
მერანი – ჩიხურა
დინამო 2 – ზუგდიდი
თბილისი 2 – ზესტაფონი 2
რუსთავი – ამერი 2
გურია – ლოკომოტივი 2
ვიტ ჯორჯია 2 – მესხეთი
22 ოქტომბერი, შაბათი
მაღაროელი – მეშაქრე
საგარეჯო – ლიახვი

**XII ტური**

28 ოქტომბერი, პარასკევი
მეშახტე – ვიტ ჯორჯია 2
29 ოქტომბერი, შაბათი
ლოკომოტივი 2 – რუსთავი
ამერი 2 – მერანი
მესხეთი – თბილისი 2
ზესტაფონი 2 – საგარეჯო
ლიახვი – დინამო 2
მეშაქრე – ზუგდიდი
ჩიხურა – გაგრა
30 ოქტომბერი, კვირა
მაღაროელი – გურია

**XIII ტური**

3 ნოემბერი, ხუთშაბათი
საგარეჯო – მესხეთი
4 ნოემბერი, პარასკევი
ზუგდიდი – ლიახვი
ვიტ ჯორჯია 2 – ჩიხურა
თბილისი 2 – მეშახტე
დინამო 2 – ზესტაფონი 2
მერანი – ლოკომოტივი 2
რუსთავი – მაღაროელი
გურია – მეშაქრე
გაგრა – ამერი 2

**XIV ტური**

11 ნოემბერი, პარასკევი
მაღაროელი – მერანი
12 ნოემბერი, შაბათი
მესხეთი – დინამო 2
გურია – რუსთავი
ლოკომოტივი 2 – გაგრა
ამერი 2 – ვიტ ჯორჯია 2
მეშახტე – საგარეჯო
ზესტაფონი 2 – ზუგდიდი
მეშაქრე – ლიახვი
ჩიხურა – თბილისი 2

**XV ტური**

18 ნოემბერი, პარასკევი
თბილისი 2 – ამერი 2
საგარეჯო – ჩიხურა
დინამო 2 – მეშახტე
გაგრა – მაღაროელი
მერანი – გურია
რუსთავი – მეშაქრე
ზუგდიდი – მესხეთი
19 ნოემბერი, შაბათი
ლიახვი – ზესტაფონი 2
20 ნოემბერი, კვირა
ვიტ ჯორჯია 2 – ლოკომოტივი 2

**XVI ტური**

25 ნოემბერი, პარასკევი
ლოკომოტივი 2 – თბილისი 2
რუსთავი – მერანი
მაღაროელი – ვიტ ჯორჯია 2
ამერი 2 – საგარეჯო
ჩიხურა – დინამო 2
მეშახტე – ზუგდიდი
მესხეთი – ლიახვი
მეშაქრე – ზესტაფონი 2
გურია – გაგრა

**XVII ტური**

29 ნოემბერი, სამშაბათი
ზესტაფონი 2 – მესხეთი
მერანი – მეშაქრე
გაგრა – რუსთავი
ვიტ ჯორჯია 2 – გურია
თბილისი 2 – მაღაროელი
დინამო 2 – ამერი 2
ზუგდიდი – ჩიხურა
ლიახვი – მეშახტე
30 ნოემბერი, ოთხშაბათი
საგარეჯო – ლოკომოტივი 2

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ლაუტერნი 2:1 | 90 | | 1 | 0 | 5 |
| ლევან ცქიტიშვილი | ვოლფსბურგი | შ | დორტმუნდი 2:2 | 90 | | 1 | 0 | 8 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ბურგჰაუზენი 2:1 | 90 | | 1 | 0 | 5 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | ბურგჰაუზენი 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 1 | 0 | 5 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | ს | ინვერნესი 1:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 1 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | რუბინი 1:3 | 90 | გააფრთხილეს | 18 | 1 | 1 |
| მათე ღვინიანიძე | ლოკომოტივი | ს | რუბინი 1:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| გიორგი ჭელიძე | ლოკომოტივი | ს | რუბინი 1:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| რომან ახალკაცი | ლოკომოტივი | ს | რუბინი 1:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| მიხეილ აშვეთია | როსტოვი | ს | სპარტაკი 0:2 | 90 | | 5 | 1 | 16 |
| გოჩა ხოჯავა | როსტოვი | ს | სპარტაკი 0:2 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 16 |
| კახა ალადაშვილი | როსტოვი | ს | სპარტაკი 0:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 16 |
| ბექა ყლენტი | ტორპედო | შ | ტერეკი 2:1 | 0 | | 0 | 0 | 7 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | ს | შინიკი 0:1 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 15 | 1 | 14 |
| ლევან გვაზავა | ალანია | ს | შინიკი 0:1 | 0 | სათადარიგო | 5 | 0 | 14 |
| ლადო ბურდული | ალანია | ს | შინიკი 0:1 | 0 | სათადარიგო | 11 | 0 | 14 |
| დავით კვირკველია | ალანია | ს | შინიკი 0:1 | 90 | | 11 | 0 | 14 |
| ჯაბა კანკავა | ალანია | ს | შინიკი 0:1 | 39 | შეცვლაზე ითამაშა | 9 | 0 | 14 |
| გიორგი შაშიაშვილი | ალანია | ს | შინიკი 0:1 | 90 | | 7 | 0 | 14 |
| გიორგი დემეტრაძე | ალანია | ს | შინიკი 0:1 | 90 | | 2 | 2 | 14 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | შ | მოსკვა 1:1 | 90 | | 14 | 0 | 4 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ლომაია | ხიმკი | ს | სკა-ენერგია 1:0 | 90 | | 11 | 0 | 6 |
| გოგიტა გოგუა | ხიმკი | ს | სკა-ენერგია 1:0 | 0 | | 5 | 0 | 6 |
| რევაზ გოცირიძე | კამაზი | ს | ლუჩ-ენერგია 2:3 | 0 | განაცხადში არ იყო | 13 | 0 | 5 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | ს | ჩელიაბინსკი 0:0 | 65 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 19 | 1 | 8 |
| მამუკა ლომიძე | ჩკალოვეცი | ს | ბრიანსკი 3:2 | 90 | | 11 | 0 | 12 |
| ლევან ბერიშვილი | მ. კუზბასი | ს | პეტროტრესტი 1:0 | 90 | | 20 | 1 | 20 |
| პაატა ჯინჭარაძე | ბრიანსკი | შ | ჩკალოვეცი 2:3 | 22 | შეცვლაზე ითამაშა | 23 | 2 | 18 |
| დავით ხმელიძე | ჩელიაბინსკი | შ | ანჟი 0:0 | 0 | | 8 | 0 | 11 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | კრივბასი 0:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 16 |
| არჩილ ბაჯელიძე | მ. ზაპოროჟიე | ს | კრივბასი 0:1 | 0 | | 0 | 0 | 16 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | ს | შ. დონეცკი 1:3 | 90 | 1 გოლი | 5 | 3 | 2 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | შ | მ. ზაპოროჟიე 1:0 | 70 | შეცვალეს | 5 | 1 | 8 |
| გიორგი ციმაკურიძე | სტალი | ს | დნიპრო 1:0 | 90 | | 5 | 0 | 13 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | ზალცბურგი 0:0 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 3 | 3 | 4 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| ლადო ახალაია | ციურიხი | შ | თუნი 2:2 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 3 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | პლოცკი | ს | ლეხი 2:3 | 45 | შეცვალეს | 3 | 0 | 13 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | რიგა 4:0 | 0 | | 13 | 0 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | რიგა 4:0 | 90 | საგოლე პასი | 13 | 0 | 2 |
| ზაალ ელიავა | სკონტო | შ | რიგა 4:0 | 90 | | 15 | 0 | 2 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | შ | რიგა 4:0 | 0 | | 6 | 0 | 2 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი გოგიაშვილი | ვოსტოკი | ს | ატირაუ 0:2 | 90 | | 15 | 3 | 8 |
| ზურაბ არჩვაძე | ეკიბასტუზეცი | ს | ალმათი 0:0 | 0 | სათადარიგო | 14 | 0 | 12 |
| დავით ქიქველიშვილი | ატირაუ | შ | ვოსტოკი 2:0 | 90 | | 3 | 0 | 9 |
| ლევან სანიკიძე | ტობოლი | ს | ორდაბასი 4:1 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 1 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*



„ნანტელები" გამარჯვებით ხარობენ

# იონი და ლიონი ფაქსი მოვიდა?

## საფრანგეთი

**I დივიზიონი. II ტური**

**რენი 0:3 ნანტი**

0:1 ფაე (14), 0:2 დიაო (78), 0:3 ბამოგო (86)

**ლიონი 1:0 სტრასბური**

1:0 კარეუ (26)

**ჟერარ ულიემ** უნდა დაიკვეხნოს, ფორვარდი ვიყიდეო — „ლიონის" ნორვეგიელმა მეგოლემ იონ კარეუმ ჯერარგახურებულ სეზონში უკვე ხუთი გოლი მიითვალა. კარეუმ „ოსერთან" სუპერთასზე ჰეთთრიქი შეასრულა, ჩემპიონატის ორივე ტურში კი თითო გოლი შეაგდო.

ერთი კვირის წინ „ლიონმა" ნორვეგიელის წყალობით „ლე მანს" სტუმრად მოუგო, ხოლო გასულ უქმეებზე პირველ საშინაო მატჩში „სტრასბურს" აჯობა. იონ კარეუმ სტრასბურელებს შესვენებამდე გაუტანა — კარისკენ ზურგით მდგარმა მცველს უცბად შემოუარა და სტეფან კასარდის კარში ბურთი ტყვიასავით შეაბრძანა.

„ლიონის" შემადგენლობაში კვლავ არ ითამაშა მიკაელ ესიენმა. ფრანგული კლუბის პრეზიდენტ ჟან მიშელ ოლას დღეში ცხრა პარასკევი აქვს. განელ ნახევარმცველს დილით ყიდის, საღამოს — აღარ. რომან აბრამოვიჩი გასულ კვირაში უნდა ჩასულიყო საფრანგეთში, მაგრამ შეხვედრა არ შედგა. „სტრასბურთან" მატჩამდე ოლამ თქვა, ესიენი „ლიონში" რჩებაო, ნამატჩევს კი განაცხადა, ლონდონიდან პიტერ კინიონმა დამირეკაო. „ფაქსს ველოდები — თქვა ოლამ — ჩვენთვის სასურველ თანხას თუ შემოგვთავაზებენ, ფეხბურთელს დავუთმობთ".

„ჩელსის" ბოლო ვარიანტი ასეთი იყო — 38 მილიონი ევრო და ტიაგუ მენდეში, რაც „ლიონის" პრეზიდენტმა იუარა. ჟან მიშელ ოლას ფაქსი თუ მოეწონა, სავარაუდოდ დღეს პიტერ კინონს ან თავად ჩუკოტკის გუბერნატორ რომან აბრამოვიჩს შეხვდება. კვირის მეორე მატჩში „ნანტმა" „რენი" სტუმრად დაჩაგრა. ორი ტურია, რენელთა ფორვარდ სებასტინ ფრეის გოლი არ გაუტანია, არადა გასულ სეზონში ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა. ნანტელები მეთოთხმეტე წუთზე ემერს ფაემ საჯარიმოს კუთხიდან გატანილი გოლით დააწინაურა, მერე კი შეცვლაზე შესულებმა ივარგეს. დიალომ თავური დარტყმით გაიტანა, შემდეგ მასპინძელი ჟენეშამი გააძევეს, რასაც ჰაბიბ ბამოგოს მესამე გოლი მოჰყვა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანტი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| პსჟ | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ბორდო | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ლიონი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ნიცა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ოსერი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| ლილი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ლანსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ტულუზი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| მონაკო | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| აიაჩო | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ტრუა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| სტ. ეტიენი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| ლე მანი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| სტრასბური | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| მეცი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| ნანსი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| სოშო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| რენი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| მარსელი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

# მოსკოვის სპარტაკი მოსკვამ არ გაუშვა

## რუსეთი

**პრემიერლიგა. XIX ტური**

**სპარტაკი 2:0 როსტოვი**

1:0 პიანოვიჩი (13), 2:0 ბაჟენოვი (51)

**როსტოვი:** გაგი, კრუშიჩი, გუტეროსი, ოლენიკოვი, ოსინოვი, ბოჩკოვი (პერესი 73), შირშოვი, ზვანე (ჰენდრიკსი 77), ვუზნიკინი (ალხაზოვი 84), ორლოვი, **აშვეთია**

**მასკვა 1:0 ამკარი**

1:0 კირიჩენკო (74)

**მოსკოვის** „სპარტაკმა" ჩემპიონატის გამოკვეთილ აუტსაიდერ „როსტოვს" ძალების დაზოგვით სძლია. დედაქალაქელებმა მეტოქეს თითო ტაიმში თითო გოლი აკმარეს. მეტიც, ტერიტორიული უპირატესობა სტუმართა მხარეს იყო, მაგრამ ამისგან მათ სასარგებლო ვერაფერი გამოადნეს. განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია მიხეილ აშვეთიასაც, თუმც შეუცვლელად იბურთავა.

პირველი გოლი როსტოველთა დაცვის პოზიციურ შეცდომას მოჰყვა. მათ პიანოვიჩი უყურადღებოდ დატოვეს და სერბსაც კოვალჩუკის პასის შემდეგ ბურთის კარში გადაგზავნა არ გასჭირვებია. მეორე ტაიმის დებიუტში კი იმავე კოვალჩუკის ჩაწოდებულს ბაჟენოვი გამოეხმაურა და 2:0.

მიუხედავად გამარჯვებისა, „სპარტაკმა" წინ ვერ წაიწია, რადგანაც კვირასვე „მასკვამ" კირიჩენკოს კინკილა გოლით მაინც მოახერხა პერმის „ამკარის" გატეხვა. ყველაფერი 74-ე წუთზე გადაწყდა, როდესაც ლაპოჩკინმა სუტმართა კარში პენალტი დანიშნა.

საინტერესოა, რომ მოსკოველებმა დიდი ხანი იორჭოფეს, თუ ვის უნდა დაერტყა პენალტი. საბოლოოდ ბურთთან მისვლა კირიჩენკომ ითავა და თავისიანები გაახარა.

**გიორგი ძაძამიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 21 | 12 | 8 | 1 | 31:9 | 44 |
| ზენიტი | 20 | 10 | 6 | 4 | 31:17 | 36 |
| ცსკა | 19 | 9 | 6 | 4 | 30:13 | 33 |
| რუბინი | 19 | 8 | 8 | 3 | 23:17 | 32 |
| მოსკვა | 19 | 8 | 7 | 4 | 20:11 | 31 |
| სპარტაკი | 19 | 8 | 6 | 5 | 29:19 | 30 |
| ტორპედო | 19 | 6 | 8 | 5 | 22:18 | 26 |
| შინიკი | 19 | 6 | 8 | 5 | 15:16 | 26 |
| დინამო | 19 | 8 | 1 | 10 | 21:29 | 25 |
| სატურნი | 19 | 5 | 6 | 8 | 13:14 | 21 |
| ამკარი | 19 | 3 | 11 | 5 | 14:22 | 20 |
| კრილია | 20 | 4 | 8 | 8 | 19:29 | 20 |
| ტომი | 19 | 4 | 7 | 8 | 13:20 | 19 |
| ალანია | 19 | 4 | 6 | 9 | 15:28 | 18 |
| ტერეკი | 19 | 4 | 4 | 11 | 11:27 | 16 |
| როსტოვი | 19 | 2 | 6 | 11 | 10:28 | 12 |

## იტალია

**თასი. I ეტაპი**

სპეცია — ჩეზენა 0:0 (0:1დ.დ); ასკოლი — აკირეალე 2:0; მასეზე — ატალანტა 0:1; ნაპოლი — პესკარა 2:0; ჩიტადელა — მოდენა 3:2; ვალენცანა — პიევო 0:5; ლივორნო — ფორლი 3:0; კავეზე — პარმა 0:1; გროსეტო — ვანტოვა 2:0; იუვესტაბია — სიენა 1:2; ლუკეზე — პიაჩენცა 1:1 (1:2დ.დ); ლუმეცანე — ვერნანა 1:2; მანფრედონია — ტრევიზო 1:0; მარტინა — ბარი 1:2; მონცა — ლეჩე 1:1 (4:2 პენ); პადოვა — ტრიესტინა 2:1; პავია — ვიჩენცა 2:1; პიზიგეტონე — ემპოლი 1:2; პრო სესტო — ბრეშა 0:1; პრო პატრია — ალბინოლეფე 0:1; სამბენედეტეზე — კრემონეზე 2:4; სან მარინო — კალიარი 1:3; საჯოვანეზე — კროტონე 0:2; ტერამო — ვერონა 0:2; ფროსინონე — აველინო 0:0 (5:3 პენ); ჯულიანო — რეჯინა 1:1 (1:2დ.დ); პიზა — კატანია 1:1 (5:4 პენ); პისტოიეზე — რიმინი 0:1; ფიორენტინა — ლოდიჯანი 4:0; ლანჩანო — არეცო 0:3; რავენა — ბოლონია 0:1; ჯენოა — *კატანძარო 0:0-ზე ჩაიშალა*

## ჩილე

**კლაუსურა. IV ტური**

უაჩიპატო — უ.კონსეპსიონი 2:0; კოლო კოლო — იტალიანო 3:0; სან ფელიპე — პალესტინო 1:1; კოკინბო — ტემუკო 3:0; ესპანიოლა — მელიპილა 2:1; უონდერერსი — უნ. კათოლიკა 0:2; რეინჯერსი — უნ. ჩილე 1:3; პუერტო მონტი — კობრელასი 1:2; დ. კონსეპსიონი — ლა სერენა 2:1; კობრელოა — ევერტონი 1:1

## მექსიკა

**აპერტურა. II ტური**

პაჩუკა — ამერიკა 0:0; ტეკოსი — ვერაკრუსი 2:2

## ბრაზილია

**სერია A. XVIII ტური**

ბოტაფოგო — პაისანდუ 2:0; კორინთიანსი — სან კაეტანო 0:2; ატლეტიკო პრ — კრუზეირო 5:4; სან პაულუ — გოიასი 0:1; ფორტალეზა — ფლამენგო 2:1; ჟუვენტუდე — პალმეირასი 1:2; პარანა — სანტოსი 1:1; ვასკუ და გამა — ფიგეირენსე 2:1; ბრაზილიენსე — ინტერნაციონალე 0:0; პონტე პრეტა — კურიტიბა 0:3; ატლეტიკო მგ — ფლუმინენსე 1:2

## ისლანდია

**პრემიერდივიზიონი XXIII ტური**

ფილკირი — აკრანესი 2:3; ჰაფნარფიორდური — რეიკიავიკი 2:0; კეფლავიკი — ფროტური 3:3; *ვესტმანაეიარი — გრინდავიკი გადაიდო*

## ჩემპიონთა ლიგა 2005-2006

**III საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები**

**9 აგვისტო**

**ევერტონი** (ინგლისი) — **ვილიარეალი** (ესპანეთი)
**ბეტისი** (ესპანეთი) — **მონაკო** (საფრანგეთი)
**ვისლა** (პოლონეთი) — **პანათინაიკოსი** (საბერძნეთი)
**ანორთოსისი** (კვიპროსი) — **რეინჯერსი** (შოტლანდია)
**ვოლერენგა** (ნორვეგია) — **ბრიუგე** (ბელგია)
**მანჩესტერი** (ინგლისი) — **დებრეცენი** (უნგრეთი)

**10 აგვისტო**

**ბაზელი** (შვეიცარია) — **ვერდერი** (გერმანია)
**შახტარი** (უკრაინა) — **ინტერი** (იტალია)
**სპორტინგი** (პორტუგალია) — **უდინეზე** (იტალია)
**მალმიო** (შვედეთი) — **თუნი** (შვეიცარია)
**ბრონდბიუ** (დანია) — **აიაქსი** (ჰოლანდია)
**პეტრჟალკა** (სლოვაკეთი) — **პარტიზანი** (სერბეთი)
**სტიაუა** (რუმინეთი) — **რუსენბორგი** (ნორვეგია)
**ანდერლეხტი** (ბელგია) — **სლავია** (ჩეხეთი)
**ცსკა** (ბულგარეთი) — **ლივერპული** (ინგლისი)
**რაპიდი** (ავსტრია) — **ლოკომოტივი** (რუსეთი)

# რადიომწვრთნელი მესამე და სამართალი



დევიდ მოიესი

**ჩემპიონთა ლიგაში** თამაშის მსურველი გუნდები ერთმანეთს ახლოს გაიცნობენ — ბოლო, მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩები დღეს და ხვალ გაიმართება.

თითქმის ყველა წყვილში მეტოქეები თანაბარძალოვანნი არიან. გამონაკლისია „მანჩესტერ იუნაიტედი" — „დებრეცენი" სოფიის ცსკა — „ლივერპული". უნგრული „დებრეცენისგან" ორი მატჩის ჯამში „ჰაიდუკის" 8:0 ძლევას თუ გავითვალისწინებთ, ალექს ფერგიუსონის გუნდს მთლად იოლად მოგებას ვერ ვუწინასწარმეტყველებთ, თუმც კლასში სხვაობა უდავოა. მანჩესტერელებს ლუი საა დააკლდებათ, რადგან ტრავმა გაუმიზეზდა. რუუდ ვან ნისტელროისა და უეინ რუნის პატრონ ფერგიუსონს საას არყოფნა დიდად არ უნდა აღელვებდეს. „მანჩესტერ იუნაიტედმა" შარშანაც მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშა და ბუქარესტის „სტიაუას" აჯობა.

ჩემპიონთა თასის მფლობელმა „ლივერპულმა" უელსის „ლანსანტფრეიდი" და ლიტვის „კაუნასი" იოლად გაიარა. სტივენ ჯერარდმა ოთხ მატჩში შვიდი გოლი გაიტანა და ცსკა-სთან თუ ითამაშებს, „ლივერპულს" სოფიელთა ძლევა არ უნდა გაუჭირდეს.

„ბაზელს" შარშან ლიგისკენ გზა მილანის „ინტერმა" გადაუღობა. წლეულს შვეიცარიელები გერმანელებს დაეჯახებიან. „ბაზელი" და „ვერდერი" თავ-თავიანთ ჩემპიონატებში ლიდერობენ. ბრემენელმა „მუსიკოსებმა" ბუნდესლიგის პირველ ტურში ხუთი გოლი გაიტანეს და ბაზელში „მაჟორით" ჩავლენ.

მეორე შვეიცარიული გუნდი „თუნი" შვედეთის ჩემპიონ „მალმოის" ესტუმრება. თუნელებმა მეორე ეტაპზე ჯანით ნაქები კიევის „დინამო" დააჩოქეს და „მალმოოსთანაც" იბრძოლებენ.

უკრაინის პრესტიჟის დაცვა დონეცკის „შახტარს" მოუწევს. მირჩა ლუჩესკუს გუნდი რობერტო მანჩინის „ინტერს" შეხვდება. გავიხსენოთ, რომ თავის დროზე ლუჩესკუ „ინტერს" წვრთნიდა. „შახტარის" მთავარი პრობლემა, ცხადია, მილანელთა მთავარმეკარე ადრიანო იქნება.

ლივერპულის „ევერტონს" 1971 წლის შემდეგ მთავარ ევროთასზე არ უთამაშია. ევროპას მოწყურებული, პრემიერლიგის ყველაზე მაღალი და ჯაგჯგურა გუნდი ესპანურ „ვილიარეალს" უმასპინძლებს. „ვილიარეალის" პროგრესი აშკარაა. გუნდმა ბოლო სამ სეზონში ევროპაში უეფას თასზე გაითქვა სახელი, გასულ სეზონში კი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზური მოიხელთა. „ვილიარეალს" ჰყავს პრიმერადივიზიონის ბომბარდირი დიეგო ფორლანი, რომელმაც 23 გოლი მიითვალა. „ევერტონს" ლა კარსლი დააკლდება. მაგრამ სამაგიეროდ ახალშეძენილ საიმონ დევისს და ფილ ნევილს ათამაშებს.

უეფას თასის ფინალისტი ლისაბონის „სპორტინგი" სერიე აის „უდინეზეს" დაუხვდება. უდინელებს დავიდ დი მიკელე და ჯამპიერო პინცი არ ეყოლებათ.

ტრონჰეიმის „რუსენბორგი" ბუქარესტის „სტიაუას" ახალი მწვრთნელით ეწვევა. იოარ ჰანსენი გასულ უქმეებზე „ლილესტრიომთან" საშინაო მარცხის შემდეგ გადადგა. ჰანსენი გუშინ მატიას ჰოგმომ შეცვალა, რომელიც რადიოში ფეხბურთის ექსპერტად მუშაობდა. მანამდე კი „ტრომსოს" მწვრთნელი იყო.

**ვაჟა ხუციშვილი**




არიგო საკი და ლუიჯი სიმონი პროგნოზებს აკეთებენ

# დიდი ტაქტიკოსების საინტერესო აზრები...

**იტალიური** სამწვრთნელო სკოლის კორიფეები არიგო საკი და ლუიჯი სიმონი მილანის „ინტერის" მომავალზე ბჭობენ — და არა მხოლოდ „ინტერისაზე".

ლუიჯი სიმონი, „ნერო აძურის" ყოფილი თავკაცი, ვინაც იქ მუშაობისას, სერია A-ს წლის საუკეთესო მწვრთნელადაც დაასახელეს: „ამ სეზონში „ინტერი" აქცენტს ნახევარდაცვის გაძლიერებაზე აკეთებს. ლუიშ ფიგუს, სანტიაგო სოლარის და დავიდ პიზაროს გადაყვანას სხვა ახსნა არც შეიძლება ჰქონდეს. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ საკმარისი არ არის. შემადგენლობას გადავხედოთ: გუნდს აქამდეც ჰყავდა ხუან სებასტიან ვერონი, დეიან სტანკოვიჩი და კრისტიანო ძანეტი. ესენი ყველანი დიდებული ფეხბურთელები არიან, მაგრამ თითოეულ პოზიციაზე რამდენიმე მაღალი კლასის მოთამაშის ყოლა, ამავე დროს, რისკია. რამდენად შეძლებს რობერტო მანჩინი ამ ვასკვლავებს გუნდური სულისკვეთება ჩაბეროს?"

არიგო საკი, იტალიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, მადრიდის „რეალის" სპორტული დირექტორი: „ვფიქრობ, რობერტო მანჩინი სწორ გზას ადგას და სწორ სელექციასაც აკეთებს. ფიგუ, ვალტერ სამუელი და სანტიაგო სოლარი საუკეთესოდ მოერგებიან მის 4-4-2 სისტემას".

ჯიჯი სიმონი ახალ სეზონში სკუდეტოს მოგების ყველაზე რეალურ კანდიდატებად, „მილანსა" და „იუვენტუსს" მიიჩნევს. ეს ათწლეულობით გრძელდება, ჩემპიონობის უმთავრეს ფავორიტებად ხსენებული გუნდები რჩებიან.

„მილანმა ალბერტო ჯილარდინო და კრისტიან ვიერი გადაიბირა. ისინი გუნდის თამაშს უთუოდ დიდ კვალს დაატყობენ, „იუვენტუსს" კი ნახევარდაცვაში გამოცდილი ფეხბურთელი სჭირდებოდა და პატრიკ ვიეირა იყიდა — უკეთეს ფეხბურთელს ვერც ინატრებ — დასძინა სიმონიმ.

არიგო საკიმ კი ორეულს მესამე გუნდიც მიუმატა: სკუდეტოსთვის „მილანი", „იუვენტუსი" და „ინტერი" იბრძოლებენ თან, მათ ძალიან გაუჭირდებათ, რაკი ჩემპიონთა ლიგაშიც მოუწევთ თამაში, ორ უდიდეს ტიტულს შეჭიდება კი, დამეთანხმებით, ტიტანურ ძალისხმევას მოითხოვს."

და სხვები? ჯიჯი სიმონი ამბობს, „ფიორენტინასგან" ელოდეთ სიურპრიზებსო: „ჩეზარე პრანდელი ბრწყინვალე მწვრთნელია, ლუკა ტონი კი, ბოლოს და ბოლოს, დიდ ფეხბურთს ითამაშებს, დარწმუნებული ვარ, „იები" ყველას გაგვაკვირვებენ".

**ირაკლი ნინიძე**

# ინტერი გაყიდვაზე გადავიდა



ჯაჩინტო ფაკეტი

**მილანის** „ინტერის" ხელმძღვანელობის განცხადებით, გუნდი ახალი მოთამაშეების შეძენას აღარ აპირებს. არადა, რობერტო მანჩინის თავდასხმაში საქმე მთლად იდეალურად არ აქვს და სულ ცოტა, ერთი ფორვარდის დამატება არ აწყენდა.

პრესაში ამაზე საუბარი დღესაც არის. ხან დიეგო მილიტოს ახსენებენ, ხანაც მარკო დი ვაიოს. ერთი ხანობა თითქმის გადაწყვეტილი ჩანდა ფაბრიციო მიკოლის „სან სიროზე" გადაბარგება, მაგრამ არც ამ საქმიდან გამოდის რამე.

„ნერო აძურის" პრეზიდენტი ჯაჩინტო ფაკეტი კი ამბობს: „ახალ ფეხბურთელებს ფაქტობრივად აღარ ვსაჭიროებთ და ამ მხრივ სატრანსფერო ბაზარზე მუშაობა დავასრულეთ. ახლა ვეცდებით, რამდენიმე მოთამაშე გავასხვისოთ და იმედია, გამოგვივა".

შეგახსენებთ, „ინტერმა" ამ ზაფხულს 5 ფეხბურთელი დაიმატა — ლუიშ ფიგუ, სანტიაგო სოლარი, ვალტერ სამუელი, დავიდ პიზარო და პიერ ვომე. გუნდი კი სამმა გამორჩეულმა მოთამაშემ დატოვა — კრისტიან ვიერიმ, ედგარ დავიდსმა და ემრე ბელეზოღლუმ.

დიდი შანსია, „ნიუკასლში" გადასულ ემრეს კვირის ბოლომდე ფრანჩესკო კოკოც შეუერთდეს. იტალიელი ინგლისში გასასინჯად ჩაფრენას ამ დღეებში აპირებს.

სავარაუდო წამსვლელთა რიგებშია ენდი ვან დერ მეიდეც, თუმც ჰოლანდიელი ნახევარმცველი მთელი ზაფხულია ახალი კლუბის მოძებნას ვერ ახერხებს. ამჟამად მისით „ბენფიკა", „შტუტგარტი" და „აიაქსი" არიან დაინტერესებულნი.

გარდა ამისა, არ წყდება მითქმამოთქმა კრისტიანო ძანეტის „იუვენტუსში" შესაძლო გადასვლაზე. ამბობენ, „ინტერმა" მისი ფაბრიციო მიკოლიში გაცვლა გადაიფიქრა და ტურინელებს ახლა იგორ ტუდორს სთხოვენო.

**გიორგი ძაძაბაძე**

# დაცვას მიხედე, ქალბატონო, დაცვას!

## ტურამს მოტივაცია დაუბრუნდა

**იტალიის** მოქმედ ჩემპიონ ტურინის „იუვენტუსს" დაცვაში საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეექმნა. ჯონათან ძებინას ტრავმა უკვე ძველი ამბავია, ფრანგი სავარაუდოდ მწყობრში აგვისტოს ბოლომდე ვერ ჩადგება.

„ბენფიკასთან" ამხანაგურ მატჩში ჯორჯო კიელინიმ ცხვირი გაიტეხა. იგი სავარაუდოდ 2-3 კვირა ვერ ითამაშებს, ხოლო მის ნაცვლად მინდორზე გასულმა ალესანდრო ბირინდელიმ მუხლი დაიშავა და შესაძლოა, საკმაოდ დიდხანს მოუხდეს დასვენება.



ლილიან ტურამი

ეს სამეული 20 აგვისტოს „ინტერთან" იტალიის სუპერთასის მატჩში ვერ იბურთავებს. საეჭვოა რობერტ კოვაჩის თამაშიც, რომელსაც კუნთი აწუხებს. დაშავებულია ჯანლუკა ძამბროტაც, მაგრამ ტურინელი ექიმები ფიქრობენ, რომ მალე მომჯობინდება.

ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ „იუვეს" დაცვაში მთლად იდეალური მდგომარეობა არ არის. შესაბამისად, პრესაში ისევ ალაპარაკდნენ მიგელის შესაძლო ტრანსფერზე.

„ბებერი ქალბატონის" კიდევ ერთმა მცველმა ლილიან ტურამმა კი უკვე თავადაც დაადასტურა, რომ საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებში ბრუნდება. 33 წლის ფრანგმა „ბიანკონერის" ოფიციალურ ვებგვერდზე გუნდის უფროსობა და ქომაგები დაამშვიდა — ეს კლუბში ჩემს თამაშზე გავლენას არ იქონიებსო.

„ნაკრებში მართლაც ვბრუნდები, ეს ჩვენმა მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა ადრეც ბევრჯერ მთხოვა, მაგრამ მაშინ უარზე ვიყავი. ახლა ყველაფერი შეიცვალა, ერთწლიანი პაუზის განმავლობაში კარგად დავისვენე და მოტივაციაც დამიბრუნდა. თანაც დომენეკმა ნაკრებში ყველა უძლიერესს უხმო, რაც ძალიან კარგი გადაწყვეტილებაა. საფრანგეთმა იმდენი რამ მასწავლა და მომცა, რომ მეც რაღაცით უნდა ვუპასუხო. მართალია, ისევ ორმაგად დავიტვირთები, მაგრამ ამისთვის მზად ვარ. კარიერაში მრავალი რთული პერიოდი მქონია და გამკლავებას ამჯერადაც შევძლებ" — აღნიშნა ტურამმა.

ვქვათ ისიც, რომ „იუვენტუსმა" ემერსონის პარალელურად კონტრაქტის გახანგრძლივებაზე მოლაპარაკება ზლატან იბრაჰიმოვიჩთანაც დაიწყო. ტურინელებს ორივე მათგანის 2010 წლამდე დატოვება უნდათ. როგორც იცით, ზუსტად ამგვარი შეთანხმება ცოტა ხნის წინ ჯანლუკა ძამბროტასთან გაფორმდა.

იტალიური ჟურნალ-გაზეთებში კი რამდენიმე საინტერესო ცნობა გავრცელდა. ამბობენ, „ბებერი ქალბატონს" ანტონიო კასანოს შეძენაზე ხელი ჯერ არ ჩაუქნევია და მალე ეგებ ტრანსფერიც განხორციელდეს. მოსალაპარაკებლად საუკეთესო ვარიანტი 9 აგვისტო იქნება, როდესაც „იუვე" „რომას" ამხანაგურად შეერკინება. ტურინელებს ამ საქმისთვის 13 მილიონი გირვანქა ჰქონდათ მზად, ხოლო კასანოსთვის სამწლიანი კონტრაქტისა და სეზონში 2,7 მილიონი გირვანქის შეთავაზებას აპირებენ.

გარდა ამისა, ფაბიო კაპელოსა და კომპანიას ჯენოელი დიეგო მილიტოს ხელში ჩაგდებაც სერიოზულად განუზრახავს, თუმცა, არგენტინელ ფორვარდს მომავალ სეზონში „მესინაში" უპირებენ გათხოვებას.

**გიორგი ძაძაბაძე**



გადავა ანტონიო კასანო „იუვენტუსში"?

# ბუნდელსიგა თურქმა დააპატარავა

**ბუნდესლიგის** პირველ ტურში ბევრი იყო პირველი. შევეცდებით, რომ მათგან რამდენიმე გამოვარჩიოთ. დორტმუნდის „ბორუსიას“ შემადგენლობაში 16 წლისა და 335 დღის, ბუნდესლიგის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა დებიუტანტი ნური საჰინი შეიქნა.

აქამდე რეკორდი ფრანკფურტის „აინტრახტის“ მეკარე იურგენ ფრიედლს ეკუთვნოდა. 1976 წელს, დებიუტისას, იგი 17 წლის და 6 დღის გახლდათ.

ნური საჰინს დაუთვალეს და აღმოჩნდა, რომ 69-ჯერ მიიღო ბურთი და 59 შემთხვევაში არ დაკარგა. „ბორუსიას“ მწვრთნელმა ბერტ ვან მარვიკმა ნიჭიერი თურქი აქო: „ისე თამაშობს, თითქოს 24 წლისაა“ — თქვა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა.

თურქი ნახევარმცველის გადაბირება ლონდონის „არსენალს“ სურდა. დორტმუნდელებს 2 მილიონ 800 ათასი ევრო შესთავაზეს, მაგრამ ვალებში ჩამხრჩვალმა კლუბმა იუარა ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის გაყიდვა.

მიუნხენის „ბაიერნში“ კი ირანელი ალი კარიმის დებიუტი შედგა. „აზიელ მარადონად“ მონათლული ფეხბურთელის თამაშით ვილი სანიოლი მოხიბლულა და ნამატჩევს ინტერვიუში ირანელის ქებით ენაც დაუღლია. „ბაიერნთან“ მატჩში მოხდა სხვა ამბავიც — ჯოვანი ელბერი ბუნდესლიგას მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ მაისურით დაუბრუნდა. ელბერმა თამაშამდე დაიქადნა, გოლს თუ გავიტან, ყველაფერს გავიხდი და ფრანც ბეკენბაუერს უნდა დავანახოო, მაგრამ მოსალოდნელი სტრიპტიზი არ შედგა.




რუდი ასაუერი ბიატლონით ერთობა

ფრანკფურტის „აინტრახტი“ გასულ სეზონში მეორე ბუნდესლიგაში შინ მეტოქეს ერთხელაც არ დაზავებია და ეს ვერც ზედა ბუნდესლიგაში მოახერხა.

ხოლო გელზენკირხენის „შალკეს“ პრეზიდენტმა რუდი ასაუერმა უცნაური რამ თქვა, ერთხელ ჩემპიონობას ზედიზედ ხუთჯერ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა მირჩევნია, კლუბის ბიუჯეტს მაინც შევავსებთო.

პირველმა ტურმა კიდევ უხვგოლიანობით დაგვამახსოვრა თავი. ეს გერმანიისთვის არც ისე უჩვეულო ამბავია, მაგრამ დებიუტში ამდენი ბურთი იშვიათად თუ გადის.



ნური საჰინი

გამოსარჩევია მეორე ბუნდესლიგიდან გადმოსული გუნდების წარმატებული დებიუტიც. გამონაკლისი „აინტრახტი“ გახლდათ. თუმცა ფრანკფურტელებმაც კარგად დაიწყეს და მეორე ტაიმის დებიუტში გაშვებული გოლი რომ არა ვინ იცის რა მოხდებოდა.

ტრადიციულად მძლავრი სტარტი ჰქონდა გერმანიის მოქმედ ჩემპიონს მიუნხენის „ბაიერნს“.

ურიგოდ არ გამოიყურებოდნენ „ვერდერი“ და „ჰამბურგიც“. ხოლო „ვოლფსბურგისა“ და „შალკეს“ სასახელოდ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ მათ საკმაოდ რთული შეხვედრების შემობრუნება შეძლეს.

თუმცა ყველაფერი ახლა იწყება...

**ვაჟა ხუციშვილი**

# რომამ თავისი გაიტანა ჯენოას C დაუკანონეს

**იტალიურმა** „რომამ“ მაინც მოახერხა სატრანსფერო ემბარგოსთვის თავის დაღწევა. დედაქალაქელთა მორიგმა აპელაციამ გაჭრა. სპორტის საარბიტრაჟო სასამართლომ ფიფასა და TAS-ის გადაწყვეტილება გააუქმა, რაც ყველასათვის ცოტა არ იყოს და მოულოდნელი გახლდათ.

შესაბამისად, „რომას“ ფილიპ მექსეშის სანაცვლოდ „ოსერისთვის“ კონტრაქტის წესების დარღვევით გაფორმების გამო 8 მილიონი გირვანქის კომპენსირება აღარ მოუწევს. ასევე დედაქალაქელებს პრობლემა აღარ ექნებათ როდრიგო ტადეის, სამუელ კუფურისა და შაბანი ნონდას დარეგისტრირებაში. მომავალ სეზონში სამივე მათგანი „ჯალოროსის“ რიგებში ითამაშებს.

სამაგიეროდ, ერთიორად გაიზარდა გუნდიდან ანტონიო კასანოს წასვლის შანსები. ახლა მის მსურველებს შეუძლიათ „გლადიატორებს“ სხვადასხვაგვარი წინადადებებით მიმართონ.

„რომას“ დარად არ გაუმართლა „ჯენოას“. გენუელების აპელაცია არ დააკმაყოფილეს და მათ ფაქტობრივად ბოლო იმედი დაკარგეს.

„ჯენოა“ მომავალ სეზონს სერია C1-ში სამქულიანი დანაკლისით დაიწყებს. ძალაში რჩება სხვა სასჯელებიც, რომლებიც კლუბის ხელმძღვანელობას ეხებოდა. თუმცა კვირის ბოლომდე მათი მდგომარეობა შეიძლება კიდევ უფრო დამძიმდეს, რადგანაც გამოძიება გრძელდება და განაჩენის გამკაცრება გამორიცხული არ გახლავთ.

**გიორგი ძაძაბაძე**



ბობო ბალდეს „მარსელი“ ეპატიჟება

# ნარდივით ფეხბურთი

## მარსელი მარსებს აგებს

**საჩემპიონო** ამბიციით გაზულუქებულმა „მარსელმა“ სეზონი ისე დაიწყო, უარესი არ არსებობს — ორი წაგებული მატჩი და არცერთი გატანილი გოლი. სამხრეთელები პირველ ტურში შინ „ბორდოსთან“ 0:2 დამარცხდნენ, გასულ უქმეებზე კი სტუმრად „ლანსმა“ ასეთივე ანგარიში გაუმეორა.

მარსელელთა მწვრთნელმა ჟან ფერნანდესმა ჩემპიონატში გუნდის უხეირო თამაში ინტერტოტოს თასს დააბრალა. „ჩვენ რთულ ვითარებაში ვართ — თქვა ფერნანდესმა — რადგან სეზონის დასაწყისშივე ორ ფრონტზე თამაში გვიწევს, მაგრამ არ ვნანობთ. ქომაგები ბრაზობენ. თუმც სექტემბრამდე უნდა მოიცალონ და მაშინ გამოჩნდება, რომ ნამდვილად კარგი გუნდი გვყავს“.

„მარსელის“ პრეზიდენტი პაპე დიუფი: „ფერნანდესისგან ჯადოქრობას არ ველი. იგი პროფესიონალია და ვითარებას მალე გამოასწორებს. ორი მარცხის გამო ალიაქოთის ატეხვა არ ღირს“.

პაპე დიუფი მეგოლე დანიელ ლუბოიას ყიდვას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა, გუნდს დაცვაში უფრო უჭირსო. ახლა იგი „სელტიკის“ მცველ ბობო ბალდეს შეძენას გეგმავს.

„სელტიკის“ ფანთა ჯილა ბალდე გლაზგოურ კლუბში 2001 წელს გადავიდა და მარტინ ონილის ფავორიტი გახდა. ბალდე მცველს გასულ სეზონში ინგლისის პრემიერლიგიდან ეპატიჟებოდნენ, თუმც გუნდის ერთგული დარჩა. ხოლო მარტინ ონილის გორდონ სტრაჩანით შეცვლამ ბალდეს ძირითად შემადგენლობაში ადგილი დააკარგვინა. მან ეგებ ამის გამო „სელტიკში“ დარჩენა იუაროს და „მარსელში“ გადასვლას დაყაბულდეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ნოუ კამპზე ბაჭიას აწვალებენ

## ნურც მოფრინდები, ნურც გაფრინდები



**ესპანურ** „ბარსელონას“ ხავიერ სავიოლა რომ აღარ სჭირდება ძველი ამბავია. ამ აზრს ფაქტობრივად თავად „ბაჭიაც“ შეეგუა და მზად არის გუნდი გამოიცვალოს. ამჟამად, მისი ყველაზე აქტიური მსურველი „ბარსას“ თანაქალაქელი „ესპანიოლია“. თავად არგენტინელი მზად არის „მონჟუიკზე“ გადაბარგდეს, მაგრამ ამაზეც უარს ეუბნებიან...

„ჩვენ მზად ვართ სავიოლა გავყიდოთ, მაგრამ არა „ესპანეიოლში“. მან ეს კარგად იცის და ჯობია ამ ტრანსფერზე აღარ იფიქროს. თუ სხვა კლუბი გამოჩნდება პრობლემა არ იქნება, მაგრამ ხავიერს თანაქალაქელს არ მივყიდით“ — თქვა „ბარსას“ ტექნიკურმა მდივანმა ჩიკი ბეგირისტაინმა.

გავრცელებული ცნობით კატალონიურმა კლუბმა „ატლეტიკოსთან“ და „სარაგოსასთანაც“ წამოიწყო მოლაპარაკება. სავიოლას სავარაუდოდ კვლავ ერთი სეზონით გაანათხოვრებენ, რადგანაც მისი შესაძენად „ბარსას“ მიერ მოთხოვნილ თანხას არავინ იხდის, მხოლოდ „ესპანიოლი“...

**გიორგი ძაძაბაძე**

# სამხრეთული სამშაბათი

ლადო ხომერიკი

# აპერტურას საწყისი ტემპერატურა

## არგენტინა

### აპერტურა. 1 ტური

**რასინგი 0:0 ბანფილდი**

**გაძევება:** მ. ვიტალი (46, რასინგი), გალარსა (69, ბანფილდი)

**როსარიო 1:1 ოლიმპო**

1:0 ა. დიასი (55), 1:1 მაჯოლო (75)

**სან ლორენსო 3:2 ველესი**

0:1 კასტრომანი (28), 1:1 სახა (42 პ), 2:1 ბოტინელი (82), 2:2 ზარატე (89), 3:2 ხ. გარსია (90)

**გაძევება:** კასტრომანი (58, ველესი)

**კილმესი 1:1 ნიუელზი**

0:1 სპოლი (56), 1:1 კანეო (89)

**გაძევება:** მაიდანა (90, ნიუელზი)

**ლანუსი 2:4 ინდეპენდიენტე**

0:1 ფრუტოსი (21), 1:1 ჟოდა (31), 1:2 მანრიკე (37), 1:3 ლ. პუსინერი (74 პ), 1:4 ფრუტოსი (80 პ), 2:4 ფიორეტო (90)

**ხიმნასია ლა პლატა 1:0 კოლონი**

1:0 ლ. ლობოსი (68)

**რივერ პლეიტი 2:0 ტირო ფედერალი**

1:0 მ. გალიარდო (8), 2:0 ე. ფარიასი (90)

**ბოკა ხუნიორსი 4:1 ხიმნასია ხ**

1:0 პალასიო (9), 2:0 პალერმო (10), 3:0 ლ. დიასი (13), 3:1 რამინი (28), 4:1 პალასიო (82)

**პარასკევს** „აველანედას" არენაზე, „რასინგისა" და „ბანფილდის" შეხვედრაში, გოლთაცვენის მომლოდინე 20 ათასი იჩრასის თვალწინ სტუმარ-მასპინძელმა მშრალი 0:0 გაითამაშა — საუბარი არგენტინის იმ ჩემპიონატს ეხება აპერტურა რომ ჰქვია. ხსენებული ჯაჯგურა ჯახის შესახებ თავად პატაგონიური მედიაც სიტყვაძუნწობს, თუმც მეტოქეთა გოლკიპერების, რასინგელი ტუსტავო კამპანუოლოს და ბანფილდელი კრისტიან ლუჩეტის გამო ვინძლო ჩემპიონატის გახსნით მატჩზე შეჩერება მაინც ღირდეს. თურმე მათ მოწინააღმდეგის ფორვარდებს ლაგამი მოხერხებულად ამოსდეს, რითაც მაყურებელთა გულწრფელი აღფრთოვანება დაიმსახურეს. საბოლოოდ კი „აველანედა" სტუმარმაც და მასპინძელმაც კაცნაკლულად დატოვა — მარტინ ვიტალი და მარკოს გალარსა მსაჯმა ზედმეტი „გულმოდგინებისთვის" მოედნიდან გააძევა.

ნამდვილი არგენტინული ბობოქრობა მომდევნო დღეს „სან ლორენსოს" გულშემატკივრებმა იხილეს. მათი საყვარელი კლუბი გასული კლაუსურას ჩემპიონ „ველეს სარსფილდს" დაუხვდა და დაძაბულ ბრძოლაში 3:2 დაამარცხა. „ნუევო გაზომეტროზე" თავმოყრილ თეთრ-ცისფერთა მრავალრიცხოვან ფანებს ალბათ კარგა ხნის განმავლობაში ნერვების მკურნალობა მოუწევთ, რამეთუ „ველესის" ბეჭებზე დაცემა მასპინძლებს ფრიად ძვირად დაუჯდათ. ანგარიში „სარსფილდმა" გახსნა — 38-ე წუთზე ლუკას კასტრომანმა ლამაზი თავური შეაგდო. მცირე ხნის შემდეგ არბიტრი კლაუდიო მარტინი სტუმართა კარში პენალტს ნიშნავს და სებასტიან სახაც ტაბლოზე 1:1-ს აფიქსირებს. აქ ერთი შეხედვით თითქოს განსაკუთრებული არაფერია, თუმც იმას თუ გავიხსენებთ, რომ სენიორ სახა მეკარეა, მივხვდებით, ტრიბუნებზე თერთმეტმეტრიანის დროს რა ცეცხლიც დაენთებოდა.

ჯონათან ბოტინელიმ „სან ლორენსო" მატჩის 88-ე წუთზე დააწინაურა და 88-ზევე როლანდო სარატეს საპასუხო გოლიც მიიღო. ცხადია, აგრერიგად მონდომებული ფეხბურთელები და ღრიალისაგან დაღლილი გულშემატკივრები ფრეს ვერ შეეგუებოდნენ და... ვალტერ გარსიამ მსაჯის მიერ დამატებულ დროში მესამე ბურთიც გაიტანა.

„გადასარევი მატჩი იყო. ვიცოდი, რომ „სან ლორენსოში" ჩემი დებიუტი მოსაწყენი არ იქნებოდა, თუმცა რაც დღეს მოხდა, ისტორიაში უნდა ჩაიწეროს." — აღნიშნა თამაშის მერე პარაგვაელმა კარდოზომ, ვინც მართალია, გოლის შეგდებით ვერ იჯერა გული, მაგრამ ბრწყინვალე შერკინებაში მონაწილეობით გვარიანი სიამოვნება მიიღო...

იმავე დღეს პატაგონიაში კიდევ ორი შეხვედრა შედგა — დიდად გამოსარჩევი არაფერი, „როსარიო" — „ოლიმპო" და „კილმეს" — „ნიუელსი" ერთმანეთს 1:1-ზე დაუზავდნენ.

7 აგვისტოს უკვე თავიანთი ქამანდი სამხრეთელთა ლიგის სახელოვანმა გრანდებმაც ტყორცნეს. „ბოკა ხუნიორსი" სან ლორენსოში სეგუნდადივიზიონიდან ახლად ამოჯირითებულ „ხიმნასიას" შეხვდა და 4:1 მოუგო. თამაში „ბოკასთვის" შინაურ „ლა ბონბონერაზე" ვერაფრით ჩატარდებოდა, რადგან ეს სარბიელი ლიბერტადორესის თასზე მექსიკურ „ჩივასთან" მომხდარი ინციდენტის გამო (მაშინ არგენტინელმა ფეხბურთელმა სტუმრებს სახეში აფურთხეს, მარტინ პალერმომ კი მავან **MEXICO**-ს გვარიანი თავურიც უთავაზა) დისკვალიფიცირებული გახლავთ.

„ხუნიორსი" წლეულს მნიშვნელოვნად მოძლიერდა. გუნდში ახალი მწვრთნელი ალფიო ბასილე და ფეხბურთელები — ფედერიკო ინსუა, დანიელ დიასი, უგო იბარა, დანიელ ბილოში და სებასტიან ბატალია მოვიდნენ. ახალწვეულებს და „ბონბონერას" ძველ მგლებს — მარტინ პალერმოს, გილიერმო ბაროს შელოტოს, რობერტო აბონდანსიერის და მარსელო დელგადოს — თავი არ შეურცხვენიათ. ხუხუის „ხიმნასიამ" მათ გატანილ 4 ბურთს ოდენ ერთით უპასუხა. ერთი სიტყვით, „ხუნიორსმა" ხუხუი 4:1 დაამარცხა...

„შეხვედრის პირველი 20 წუთი დიდებულად ვიბურთავეთ, თუმც შემდეგ სეზონთაშორისი აზიური ტურნეს გამო ბიჭებს დაღლილობა შეეტყოთ. საერთო ჯამში შეგირდთა თამაშით კმაყოფილი ვარ. მომდევნო მატჩებში ბევრი რამის გამოსწორება შეიძლება" — თქვა ალფიო ბასილემ მატჩის შემდეგ.

ადვილი და სალაღობო არაფრით ეთქმოდა „რივერ პლეიტის" „ტირო ფედერალესთან" ჯახირს. მარსელო გალიარდომ მე-8 წუთზე ჯარიმა შეაგდო, ერნესტო ფარიასმა 90-ეზე თავური და ამით დასრულდა ყველაფერი. საქმე ის გახლავთ, რომ „რივერი" ჩემპიონატის წინ ლიდერთა მთელმა კოჰორტამ მიატოვა — ხავიერ მასკერანო, ლუის გონსალესი, მარსელო სალასი და კარლოს დიოგო შესაბამისად „კორინთიანსში", „პორტუში", ჩილეს „უნივერსიდადში" და მადრიდის „რეალში" გადავიდნენ. მათ ნაცვლად „მონუმენტალს" ანდრეს სან მარტინმა, ხონათან სანტანამ, კრისტიან ალვარესმა და გუსტავო ობერმანმა მოაშურეს, თუმცა ამ ახალგაზრდა პეონებს შეთამაშებულობა აკლიათ, რაც გამოჩნდა.

ეს „ტირო ფედერალე" კი უცნაური წარსულის გუნდია, ასი წლის გახლავთ და უმაღლეს დივიზიონში წლეულს პირველად თამაშობს...

„ინდეპენდიენტემ" თავის „დობლე ვისერაზე" „ლანუსს" 4:2 „ასიამოვნა". მომხვდურებმა განსაკუთრებით მსაჯის ქცევით „იხალისეს" — 4 ბურთიდან თეთრ-ალისფერმა გუნდმა სამი პენალტით შეაგდო.

„ჩვენი კლუბის ქომაგები ფეხბურთელებით უნდა ამაყობდნენ. წინ დიდი გამარჯვებები გველოდება" — განაცხადა ხულიო სესარ ფალვიონიმ, თეთრ-ალისფერთა ახალდანიშნულმა მწვრთნელმა.

„ხიმნასია ლა პლატამ" ლუკას ლობოსის კენტი გოლით სანტა ფეს „კოლონს" მოუგო. ორი გადადებული მატჩი კი 2 სექტემბერს გაიმართება (არგენტინოს ხუნიორსი — არსენალი და კორდობა — ესტუდიანტესი). ესეც პატაგონიური აპერტურას პირველი გასროლა. შეგახსენებთ, რომ გაუჩოები კიდევ 18 ტურს ითამაშებენ.



სებასტიან სახამ პენალტი გაიტანა



ხორხე ვერგარა მადრიგალი

# ჩივასი — ბასკი მექსიკურად

**გვადალახარას** „ჩივასის" თავკაცობა თავისი „სენტენარიოს", ანუ ასი წლისთვის ღირსეულად აღნიშვნაზე წინასწარ ზრუნავს. მექსიკურმა გუნდმა საგაისოდ ბილბაოს „ატლეტიკთან" ორრაუნდიანი მატჩის ჩატარება გადაწყვიტა. ლათინოამერიკელთა სამხრეთულ დაუდევრობაზე ვინძლო მოგეხსენებათ, თუმც რახან სენიორ ხორხე ვერგარა მადრიგალი, „ჩივასის" პრეზიდენტი, პრაქტიკულზე პრაქტიკული კაცია, ამიტომაც ჩაიფიქრა 2006-ის ზაფხულში გასამართი მატჩის პერიპეტიების ერთი წლით ადრე მოგვარება. „ჩივასი" სამშობლოში უპოპულარულეს კლუბად ითვლება და მის სარბიელს, სახელად „ხალისკოს", მექსიკური ლიგისა თუ საერთაშორისო შეხვედრების დროს 65 ათასი ინჩასი ავსებს. კაქტუსის არყის, რევოლუციებისა და ლამაზი ფეხბურთის ქვეყანაში ოდენ „აცტეკას" ლეგენდარული 100 ათასიანი სტადიონია „ხალისკოს" ქომაგთა სიმრავლით რომ სჯობნის და რატომ მაინცდა მაინც ბილბაოს „ატლეტიკი"?

„ჩვენი სენტენარიო განსაკუთრებულად შესანიშნავი და მრავლისმთქმელი უნდა გამოვიდეს. „ბილბაოსთან" შერკინების გამართვა ღონისძიების ერთ-ერთი საუკეთესო ეპიზოდი იქნება: ბასკური გუნდი „ჩივასს" ბევრი რამით წააგავს" — განუცხადა თანამემამულე ჟურნალისტებს ბატონმა მადრიგალმა.

მართლაც ოკეანისგაღმელი მექსიკელებისა და პირინეელი ბასკების მსგავსებას ვერავინ უარყოფს — ერთნაირი ფერის მაისური თეთრ-ალისფერი ზოლებით, ერთნაირი ტრადიცია — როგორც „ბილბაოში" უცხოელს არავინ ათამაშებს, ისევე „გვადალახარაში" არამექსიკელი ვერ გაიჭაჭანებს — და, რა თქმა უნდა, უკვე ნახსენები პატივცემული ხორხე ვერგარა მადრიგალი — „ჩივასის" პრეზიდენტი წარმოშობით ბასკი გახლავთ და ეს მისი სიამაყის საგანია.

იბეროამერიკელთა — ცენტრალური ამერიკის მცხოვრებთა პარინეებზე ასე უწოდებენ — თავკაცს მექსიკური მედია სწორედ „ბასკურ" კანონის სიმკაცრეს უკიჟინებს — გუნდში ლეგიონერების მიღებაზე უარს ამბობთ და ამით „ჩივასის" საბრძოლო ძალები დაასუსტეთო.

„ჩვენ აშშ-ი გუნდის ფილიალი გავხსენით. თუ ლეგიონერები გჭირდებათ, კი, ბატონო, გააგზავნეთ იმისი ამერიკაში, საზღვარს გაღმა. ჩემს გუნდში კი, სანამ მე ვარსებობ, უცხოელი ვერ ითამაშებს, ეს კლუბის უძველესი ტრადიციაა" — მკაცრად პასუხობს პრესას ადათ-წესების მიმდევარი პრეზიდენტი. „ბილბაო" კი ჯერჯერობით მექსიკელი ძმების შემოთავაზებაზე ფიქრობს, თუმცა ამ საინტერესო და სარეკლამო წინადადებას ძირძველი ბასკები ალბათ სიამოვნებით დათანხმდებიან. წლეულს „ჩივასი" უკვე შეხვდა ესპანურ გუნდს. მადრიდის „რეალს" და 23 ივლისს, ლოსანჯელესის „სოლჯერ ფილდზე" 1:3 დამარცხდა...

# დეპორტივო და კოშტა

**ბრაზილიური** „პორტუ ალეგრეს" მოიერიშე ლუსიო და კოშტა ფერნანდო მალე ალბათ ესპანური „დეპორტივოს" ფეხბურთელი გახდება. ფერნანდაო სწორედ ისეთი მძლავრი ტიპის თავდამსხმელია, რომელსაც ლაკორუნიელთა დამრიგებელი ხოაკინ კაპაროსი გუნდის შესავსებად მოითხოვს — მაღალი (190 სმ) და ფიზიკურად ძლიერი (85 კილოგრამი) და კოშტა „რიასორის" მეტოქეებს ვინძლო მაგრად ააფორიაქებს. თანაც ბრაზილიელი ევროპისთვის შინაური კაცია, თავის დროზე „მარსელისა" და „ტულუზის" ფორვარდი იყო. ფრანგული თავგადასავლის შემდეგ ფერნანდაო ისევ სამშობლოში დაბრუნდა, სადაც ამ სეზონში 19 მატჩში 5 გოლის გატანა მოასწრო.

„მოხარული ვარ, რომ „დეპორტივოს" მსგავსი გუნდი ჩემით დაინტერესდა. ამჟამად მარტო „პორტუ ალეგრეზე" ვფიქრობ, თუმცა უცხო კლუბიდან ხელსაყრელ შემოთავაზებაზე უარს არ ვიტყვი" — თქვა თავად ლუსიო და კოშტამ. როგორც ესპანური „მარკა" გვამცნობს, ფერნანდაოს ტრანსფერი უახლოეს ერთ კვირაში გადაწყდება.

## ინგლისი. პრემიერლიგა

### 13 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:45 | 1 | ევერტონი-მანჩესტერი | 4.20 | 3.40 | 1.80 | 1.87 | 1.25 | 1.17 |
| 18:00 | 2 | ფულემი-ბირმინგემი | 2.25 | 3.30 | 2.90 | 1.33 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 3 | სიტი-ვესტ ბრომვიჩი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 18:00 | 4 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 2.60 | 3.30 | 2.50 | 1.45 | 1.27 | 1.42 |
| 18:00 | 5 | სანდერლენდი-ჩარლტონი | 2.35 | 3.30 | 2.75 | 1.37 | 1.26 | 1.50 |
| 18:00 | 6 | ვესტ ჰემი-ბლექბერნი | 2.35 | 3.30 | 2.75 | 1.37 | 1.26 | 1.50 |
| 18:00 | 7 | ასტონ ვილა-ბოლტონი | 2.25 | 3.30 | 2.90 | 1.33 | 1.26 | 1.54 |
| 20:15 | 8 | მიდლსბრო-ლივერპული | 2.70 | 3.30 | 2.40 | 1.48 | 1.27 | 1.38 |

### 14 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 9 | არსენალი-ნიუკასლი | 1.45 | 3.60 | 8.00 | 1.03 | 1.22 | 2.48 |
| 19:00 | 10 | უიგანი-ჩელსი | 8.00 | 4.50 | 1.35 | 2.88 | 1.15 | 1.03 |

## ინგლისი. ჩემპიონატი

### 9 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 12 | ქპრ-იფსვიჩი | 2.35 | 3.30 | 2.55 | 1.37 | 1.22 | 1.43 |
| 22:45 | 13 | უენსდი-ჰალი | 2.30 | 3.30 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |
| 22:45 | 14 | ვულვერჰემპტონი-კრ. პალასი | 2.10 | 3.30 | 3.00 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| 22:45 | 15 | ბრაიტონი-რედინგი | 2.35 | 3.30 | 2.55 | 1.37 | 1.22 | 1.43 |
| 22:45 | 16 | ბარნლი-შეფილდი | 2.50 | 3.30 | 2.40 | 1.42 | 1.22 | 1.38 |
| 22:45 | 17 | კარდიფი-ლიდსი | 2.50 | 3.30 | 2.40 | 1.42 | 1.22 | 1.38 |
| 22:45 | 18 | ლესტერი-სტოკი | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 22:45 | 19 | ლუტონი-საუთჰემპტონი | 2.50 | 3.30 | 2.40 | 1.42 | 1.22 | 1.38 |
| 22:45 | 20 | მილუოლი-ქოვენთრი | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 22:45 | 21 | ნორვიჩი-ქრიუ | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 22:45 | 22 | პლიმუთი-უოტფორდი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |

## ინგლისი. I ლიგა

### 9 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 35 | ბორნმუთი-ჰარტლპული | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 22:45 | 36 | ბრედფორდი-საუთენდი | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 22:45 | 37 | კოლჩესტერი-სუონსი | 2.30 | 3.30 | 2.60 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 22:45 | 38 | დონკასტერი-დონსი | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 22:45 | 39 | ჰადერსფილდი-ბრისტოლი | 2.20 | 3.30 | 2.75 | 1.32 | 1.22 | 1.50 |
| 22:45 | 40 | პორტ ვეილი-ჯილინგემი | 2.35 | 3.30 | 2.55 | 1.37 | 1.22 | 1.43 |
| 22:30 | 41 | სკანთორპი-ბარნსლი | 2.45 | 3.30 | 2.50 | 1.40 | 1.23 | 1.42 |
| 22:45 | 42 | სუინდონი-ოლდემი | 2.25 | 3.30 | 2.70 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 22:45 | 43 | ტრანმერი-ბლეკპული | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 22:45 | 44 | უოლსოლი-ნოტინგემი | 2.45 | 3.30 | 2.50 | 1.40 | 1.23 | 1.42 |
| 22:45 | 45 | იოვილი-როტერჰემი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |

### 10 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 46 | ჩესტერფილდი-ბრენტფორდი | 2.40 | 3.30 | 2.55 | 1.38 | 1.23 | 1.43 |

## ინგლისი. II ლიგა

### 9 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 59 | როვერსი-გრიმსბი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 22:45 | 60 | ბერი-ლეიტონი | 2.30 | 3.30 | 2.60 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| 22:45 | 61 | კარლაილი-პიტერბრო | 2.20 | 3.30 | 2.75 | 1.32 | 1.22 | 1.50 |
| 22:45 | 62 | ჩესტერი-ლინკოლნი | 2.30 | 3.30 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |
| 22:30 | 63 | დარლინგტონი-სტოკპორტი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 22:45 | 64 | მაკლსფილდი-ჩელტენემი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 22:45 | 65 | მენსფილდი-რაშდენი | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 22:45 | 66 | ნორთჰემპტონი-ბარნეტი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 22:45 | 67 | ნოტსი-რექსემი | 2.35 | 3.30 | 2.60 | 1.37 | 1.23 | 1.45 |
| 22:45 | 68 | როჩდეილი-უიკომბი | 2.35 | 3.30 | 2.60 | 1.37 | 1.23 | 1.45 |

### 10 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 69 | ბოსტონი-შრიუსბერი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 22:45 | 70 | ოქსფორდი-ტორკი | 2.15 | 3.30 | 2.85 | 1.30 | 1.22 | 1.52 |

## რუსეთი

### 11 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 235 | ტორპედო-ცსკა | 3.80 | 3.20 | 1.80 | 1.73 | 1.22 | 1.15 |

## ფინეთი

### 9 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 321 | ტამპერე-ტურკუ | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |

### 10 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 322 | ინტერი-ლაჰტი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |

## ბრაზილია

### 10 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 375 | კურიტიბა-ატლეტიკო მნ | 1.55 | 3.60 | 4.80 | 1.08 | 1.17 | 2.05 |
| 23:45 | 376 | კრუზეირო-ბოტაფოგო | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 23:45 | 377 | ფიგეირენსე-სან პაულუ | 2.25 | 3.30 | 2.70 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 23:45 | 381 | ინტერნასიონალი-კორინთიანსი | 2.10 | 3.30 | 2.90 | 1.28 | 1.21 | 1.54 |
| 23:45 | 382 | პალმეირასი-პონტე პრეტა | 1.60 | 3.40 | 4.85 | 1.08 | 1.20 | 1.99 |
| 23:45 | 383 | პაისანდუ-ვასკუ და გამა | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| 23:45 | 385 | სან კაეტანო-ატლეტიკო პრ | 1.95 | 3.30 | 3.20 | 1.22 | 1.21 | 1.62 |

### 11 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 378 | ფლამენგო-პარანა. | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 23:45 | 379 | ფლუმინენსე-ფორტალესა | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| 23:45 | 380 | გოიასი-ჟუვენტუდი | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 23:45 | 384 | სანტოსი-ბრაზილენსე | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |

## ჩემპიონთა ლიგა

### 9 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:05 | 409 | ევერტონი-ვილიარეალი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 23:45 | 411 | ბეტისი-მონაკო | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 22:45 | 412 | ვისლა-პანათინაიკოსი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 22:00 | 450 | ანორთოსისი-რეინჯერსი | 3.70 | 3.20 | 1.85 | 1.71 | 1.23 | 1.17 |
| 23:00 | 451 | ვოლერენგა-ბრიუგე | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 23:05 | 452 | მანჩესტერი-დებრეცენი | 1.10 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.53 |

### 10 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 407 | ბაზელი-ვერდერი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 22:00 | 408 | შახტარი-ინტერი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| 23:45 | 410 | სპორტინგი-უდინეზე | 1.85 | 3.30 | 3.75 | 1.18 | 1.23 | 1.75 |
| 20:45 | 453 | მალმიო-თუნი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 21:00 | 454 | ბრიონდბიუ-აიაქსი | 2.75 | 3.20 | 2.30 | 1.47 | 1.25 | 1.33 |
| 22:00 | 455 | პეტრჟალკა-პარტიზანი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 22:00 | 456 | სტიაუა-რუსენბორგი | 1.75 | 3.20 | 4.20 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| 22:30 | 457 | ანდერლეხტი-სლავია | 1.55 | 3.50 | 5.70 | 1.07 | 1.21 | 2.16 |
| 22:45 | 458 | ცსკა(ს)-ლივერპული | 5.00 | 3.50 | 1.60 | 2.05 | 1.21 | 1.09 |
| 22:45 | 459 | რაპიდი-ლოკომოტივი(მ) | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |

## ინტერტოტოს თასი

### 9 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 460 | კლუჟი-ლანსი | 2.70 | 3.30 | 2.30 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| 22:15 | 461 | ჰამბურგი-ვალენსია | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 23:00 | 462 | დეპორტივო-მარსელი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10407 | ბაზელი-ვერდერი | 3.20 | 2.00 | 2.60 | 1.23 | 1.43 | 1.13 |
| 10408 | შახტარი-ინტერი | 3.60 | 2.00 | 2.50 | 1.28 | 1.47 | 1.11 |
| 10409 | ევერტონი-ვილიარეალი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10410 | სპორტინგი-უდინეზე | 2.20 | 2.00 | 4.30 | 1.04 | 1.45 | 1.36 |
| 10411 | ბეტისი-მონაკო | 2.40 | 2.00 | 4.10 | 1.09 | 1.51 | 1.34 |
| 10412 | ვისლა-პანათინაიკოსი | 2.80 | 2.00 | 3.40 | 1.16 | 1.53 | 1.25 |
| 10450 | ანორთოსისი-რეინჯერსი | 4.30 | 2.00 | 2.30 | 1.36 | 1.49 | 1.06 |
| 10451 | ვოლერენგა-ბრიუგე | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10453 | მალმიო-თუნი | 2.20 | 2.00 | 4.20 | 1.04 | 1.44 | 1.35 |
| 10454 | ბრიონდბიუ-აიაქსი | 3.20 | 2.00 | 2.65 | 1.23 | 1.44 | 1.13 |
| 10455 | პეტრჟალკა-პარტიზანი | 2.80 | 1.90 | 2.90 | 1.13 | 1.42 | 1.14 |
| 10456 | სტიაუა-რუსენბორგი | 2.10 | 2.00 | 4.20 | 1.02 | 1.39 | 1.35 |
| 10457 | ანდერლეხტი-სლავია | 1.85 | 2.00 | 6.00 | 1.00 | 1.41 | 1.50 |
| 10458 | ცსკა(ს)-ლივერპული | 5.40 | 2.20 | 1.90 | 1.56 | 1.40 | 1.01 |
| 10459 | რაპიდი-ლოკომოტივი(მ) | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |


CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO
BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI

10
42 00 24


# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13407 | ბაზელი-ვერდერი | 1.60 | 2.00 |
| 13408 | შახტარი-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 13409 | ევერტონი-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 13410 | სპორტინგი-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 13411 | ბეტისი-მონაკო | 1.70 | 1.90 |
| 13412 | ვისლა-პანათინაიკოსი | 1.70 | 1.90 |
| 13450 | ანორთოსისი-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 |
| 13451 | ვოლერენგა-ბრიუგე | 1.70 | 1.90 |
| 13453 | მალმიო-თუნი | 1.60 | 2.00 |
| 13454 | ბრიონდბიუ-აიაქსი | 1.60 | 2.00 |
| 13455 | პეტრჟალკა-პარტიზანი | 1.70 | 1.90 |
| 13456 | სტიაუა-რუსენბორგი | 1.70 | 1.90 |
| 13457 | ანდერლეხტი-სლავია | 1.70 | 1.90 |
| 13458 | ცსკა(ს)-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 13459 | რაპიდი-ლოკომოტივი(მ) | 1.70 | 1.90 |

# 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11407 | ბაზელი-ვერდერი | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11408 | შახტარი-ინტერი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.20 |
| 11409 | ევერტონი-ვილიარეალი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.90 |
| 11410 | სპორტინგი-უდინეზე | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 5.90 |
| 11411 | ბეტისი-მონაკო | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11412 | ვისლა-პანათინაიკოსი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11450 | ანორთოსისი-რეინჯერსი | 5.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.70 |
| 11451 | ვოლერენგა-ბრიუგე | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11453 | მალმიო-თუნი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11454 | ბრიონდბიუ-აიაქსი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11455 | პეტრჟალკა-პარტიზანი | 3.70 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.70 |
| 11456 | სტიაუა-რუსენბორგი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11457 | ანდერლეხტი-სლავია | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11458 | ცსკა(ს)-ლივერპული | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11459 | რაპიდი-ლოკომოტივი(მ) | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |

## [illegible]-10ზე ჰანდ-2 (0:0 ითვლება [illegible])

| | | | |
|---|---|---|---|
| 17407 | ბაზელი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17408 | შახტარი-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17409 | ევერტონი-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17410 | სპორტინგი-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17411 | ბეტისი-მონაკო | 1.85 | 1.95 |
| 17412 | ვისლა-პანათინაიკოსი | 1.85 | 1.95 |
| 17450 | ანორთოსისი-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17451 | ვოლერენგა-ბრიუგე | 1.85 | 1.95 |
| 17452 | მანჩესტერი-დებრეცენი | 1.85 | 1.95 |
| 17453 | მალმიო-თუნი | 1.85 | 1.95 |
| 17454 | ბრიონდბიუ-აიაქსი | 1.85 | 1.95 |
| 17455 | პეტრჟალკა-პარტიზანი | 1.85 | 1.95 |
| 17456 | სტიაუა-რუსენბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17458 | ცსკა(ს)-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17459 | რაპიდი-ლოკომოტივი(მ) | 1.85 | 1.95 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15407 | ბაზელი-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15408 | შახტარი-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15409 | ევერტონი-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15410 | სპორტინგი-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15411 | ბეტისი-მონაკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15412 | ვისლა-პანათინაიკოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15450 | ანორთოსისი-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15451 | ვოლერენგა-ბრიუგე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15452 | მანჩესტერი-დებრეცენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15453 | მალმიო-თუნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15454 | ბრიონდბიუ-აიაქსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15455 | პეტრჟალკა-პარტიზანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15456 | სტიაუა-რუსენბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15457 | ანდერლეხტი-სლავია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15458 | ცსკა(ს)-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15459 | რაპიდი-ლოკომოტივი(მ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12407 | ბაზელი-ვერდერი | 1.90 | 1.70 |
| 12408 | შახტარი-ინტერი | 1.60 | 2.00 |
| 12410 | სპორტინგი-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 12411 | ბეტისი-მონაკო | 1.60 | 2.00 |
| 12412 | ვისლა-პანათინაიკოსი | 1.60 | 2.00 |
| 12450 | ანორთოსისი-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 |
| 12451 | ვოლერენგა-ბრიუგე | 1.70 | 1.90 |
| 12453 | მალმიო-თუნი | 1.70 | 1.90 |
| 12454 | ბრიონდბიუ-აიაქსი | 1.70 | 1.90 |
| 12455 | პეტრჟალკა-პარტიზანი | 1.70 | 1.90 |
| 12456 | სტიაუა-რუსენბორგი | 1.70 | 1.90 |
| 12457 | ანდერლეხტი-სლავია | 1.90 | 1.70 |
| 12458 | ცსკა(ს)-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 12459 | რაპიდი-ლოკომოტივი(მ) | 1.70 | 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, [illegible])

| | | | |
|---|---|---|---|
| 14407 | ბაზელი-ვერდერი | 2.00 | 1.75 |
| 14408 | შახტარი-ინტერი | 2.10 | 1.70 |
| 14409 | ევერტონი-ვილიარეალი | 1.80 | 2.00 |
| 14410 | სპორტინგი-უდინეზე | 1.60 | 2.10 |
| 14411 | ბეტისი-მონაკო | 1.60 | 2.10 |
| 14412 | ვისლა-პანათინაიკოსი | 1.60 | 1.90 |
| 14450 | ანორთოსისი-რეინჯერსი | 2.20 | 1.60 |
| 14451 | ვოლერენგა-ბრიუგე | 1.75 | 1.95 |
| 14453 | მალმიო-თუნი | 1.60 | 2.10 |
| 14454 | ბრიონდბიუ-აიაქსი | 1.90 | 1.65 |
| 14455 | პეტრჟალკა-პარტიზანი | 1.90 | 1.90 |
| 14456 | სტიაუა-რუსენბორგი | 1.45 | 2.40 |
| 14457 | ანდერლეხტი-სლავია | 1.35 | 2.50 |
| 14458 | ცსკა(ს)-ლივერპული | 2.40 | 1.40 |
| 14459 | რაპიდი-ლოკომოტივი(მ) | 1.80 | 1.90 |

# ამერიკული სენდვიჩი

## შუაში ბებერი, წინ და უკან ჭაბუკები



მარი პირსი

### ACURA CLASSIC

სან დიეგო. მაგარსაფარი

საპრიზო 1,3 მილიონი $

#### ფინალი

მარი პირსი (6, საფრანგეთი) — აი სუგიამა (იაპონია) 6:0 6:3

**შუშპარა** და იდბლიანი სანდიეგოური მსვენსი, რომლის მსვლელობისასაც მან ხუთ მეტოქეს ერთი სეტიც არ დაანება და ჯამში ოდენ 24 გეიმი დაუთმო, 30-ს გადაცილებულმა კანადოფრანგმა მარი პირსმა წლის პირველი, ხოლო კარიერის მეჩვიდმეტე ტიტულით მოიგვირისტა.

კორტზე ყმაწვილქალურად მოშტრიალე ორგზის სლემტიტულოსანს — და, შეგახსენებთ, პირსი 1995 წელს ავსტრალიის ღია პირველობაზე, ხოლო 2000-ში მშობლიურ როლანგაროსობაზე ნაჩემპიონება — მისკბილა იაპონელმა აი სუგიამამ ფიორა წინააღმდეგობაც ვერ გაუწია.

მატჩმა საათსა და 15 წუთს გასტანა და პირსმა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პირველად შეძლო პირველი კლასის ანუ საპრიზოდ სულ მცირე 1,3 მილიონი დოლარის მქონე ტურნირის მოგება. სულ კი მას ამ რანგის უკვე ოთხ ტურნირზე უმარჯვია — სანდიეგობამდე მან 1997-ში რომაობაზე, 1998-ში მოსკოვობაზე, ხოლო 2000-ში ჰილტონ ჰიდობაზე იპირველა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 16-წლიანი კარიერისას პირსს არასოდეს ეტიტულა ამერიკულ მაგარსაფარზე.

სან დიეგოში გამარჯვებულისთვის დათქმული 189 ათასი დოლარის მითვლით კი ის დაბლიუტიეს ისტორიაში მე-16 მდიდრი შეიქნა, ჩოგნის ქნევით 8 მილიონ დოლარზე მეტის შოვნა რომ შეძლო.

ამ მოგებამ მას სარეიტინგო თვალსაზრისითაც არგო და, თუკი ტურნირის დაწყებამდე ის საუკეთესოთა შორის მე-14 საფეხურზე იდგა, საამკვრაო სიაში უკვე მე-11 ალაგი უკავია. აქ ხამს, მოვიგონოთ, რომ ამქრის ზეათეულში ის 2001 წლის აპრილის მერე აღარ გვინახავს.

ახლა პირსი ლოს ანჯელესში გადაინაცვლებს და თვის ბოლოდან დასაწყებ აშშ-ის ღია პირველობისთვის რიგიანი განწყობის შემარაგებას იქ ეცდება. სხვათა შორის, ეს მისი მე-13 აშშ-ის ღია პირველობა იქნება და საჩინო ფორმაში მყოფმა პირსმა იქაურ ნახევარფინალში, ვინძლო, ახლა მაინც გააღწიოს...

„თავს ახლა მართლაც საუცხოოდ ვგრძნობ — ამბობდა ის ნაფინალევს — კორტზე ჯერ კიდევ ბევრი რამ დამრჩა სათქმელი და ჩემს მოტივირებულობასაც, ასაკისა და გადატანილი მრავალი ტრავმის მიუხედავად, სწორედ ეს განაპირობებს... ტიტულების მოხვეჭა ყოველთვის არაჩვეულებრივ განცდებს იწვევს, მაგრამ ჩემი ასაკის მოჩოგნისთვის ამას სულ სხვა მუღამი ახლავს. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ შევეცტერნებული უფრო უკეთ ხედავ და აფასებ იმ შრომას, რაიც ტიტულის მოსაპოვებლად გასწიე. მართალია, რაღაც-რაღაცები ახლა დასტურ რიგიანად გამომდის, მაგრამ მინდა, ამის მერე კიდევ უფრო ხოშიანად ვითამაშო. მით უფრო, რომ აშშ-ის ღია პირველობა ახლოვდება, ტურნირი, სადაც მე, როგორც უფრო მეთიხნარეს, ვიდრე მეძაგარსაფრეს, გადამწყვეტ ეტაპებამდე მისვლა ერთხელაც არ გამომსვლია."

რაც შეეხება სუგიამას, ის სან დიეგოდან პოზიტივად იმასაც წაიყოლებს, რომ — სხვას თუ არავის — იქ აშშ-ის ღია პირველობის შარშანდელ ჩემპიონ სვეტლანა კუზნეცოვასა და წანწკლა სლოვაკ დანიელა ჰანტუხოვას აჯობა და — წლეულს 18 ტურნირზე მეოთხედფინალამდე ერთხელაც ვერ მისულმა — სულ მთლად საპირველკლასო ტურნირის ფინალს უწია. ცხადია, მას არც ის 90 ათასი დოლარი აწყენს, რაიც როგორც ფინალისტს ხვდა წილად.

### LEGG MASON TENNIS CLASSIC

ვაშინგტონი. მაგარსაფარი

საპრიზო 575 ათასი $

#### ფინალი

ენდი როდიკი (1, აშშ) — ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 7:5 6:3



ენდი როდიკი

**საქმე** ისე წაეწყო, რომ აშშ-ის ღია პირველობისთვის სამზადი სამაგარსაფრო სერიის სამივე პირველ ტურნირში ამერიკელმა კაცებმა იმარჯვეს. შეგახსენებთ, რომ სერია ინდიანაპოლისში დაიწყო და იქ ყველას 22 წლის რობი ჯინეპრიმ აჯობა. მერე ბურთაობა ლოს ანჯელესში გაგრძელდა და ბებერმა არმენოამერიკელმა ანდრე აგასიმ კარიერის მე-60 ტიტული მოხანგლა. ვაშინგტონურ მაგარსაფარზე კი უკვე ინკების 22 წლისავე ყოჩის, იქაურობის 2001 წლის მაოხარ ენდი როდიკის დროც დადგა.

ცნობისთვის: ასეთი რამ, ანუ ვინგინდავინ სამ ამერიკელს ზედიზედ სამ ტურნირზე რომ ეჯეირათ, 1998 წლის მერე აღარ მომხდარიყო.

ენდიბოის საკმაოდ არათანაბარი კვირა გამოუვიდა, თუმცა ჯამში მაინც დამაჯერებლად გაირჯა, მსუყედ იეისა და სანხოსეობის, ჰიუსტონობისა და ქუინზკლაბობის შემდეგ წლის მეოთხე, ხოლო კარიერის მე-19 ტიტული გაუსაჩივრებლად ირგუნა.

ტურნირის 2002 წლის ჩემპიონმა ჯეიმს ბლეიკმა, ვინაც შარშან კისრის მძიმე ტრავმა გადაიტანა და სასურველ ფორმას მხოლოდ ეს-ესაა იბრუნებს, თვისტომ-მეგობართან საფინალო დავაში ვერაფერი გაეწყო. ვერც მის 18 ჟისს დაუპირისპირა რამე, ვერც მის უფრო მრავალფეროვან და ლინიერ გარჯას და მეექვსე დაპირისპირებაში, ვგლახ, უკვე მეექვსედვე დანებდა. ასე რომ, სამი წლის წინ იქ მონავრული ტიტულიც მას ჯერ-ჯერობით ისევ ერთადერთ საეტიტიო ჯილდოდ დაურჩა.

თუმცა ყოველივე ეს — იმასთან ერთად, რომ ფინალში გასვლა და ყოჩაღი მეტოქეების ძლევა მას საკუთარ ძალებში რწმენას დაუბრუნებს — ვებ იმ გარემოებამაც გადაწონოს, რომ ტრავმის მერე წინა სეზონის ბოლოს 201-ე ადგილამდე ჩაქვესკნელებული ბლეიკი საამკვირაოდ ისევ ზეასეულში დაამკიდრებს...

„შარშან ჩვენ ის კინაღამ დავკარგეთ — ამბობდა ნაფინალევს როდიკი — ყველანი ძალიან ვწუხდით, რადგანაც ის მართლაც უმძიმეს მდგომარეობაში იყო. ცხადია, როგორც მის მეგობარს მეტისმეტად მიხარია, მას კვლავ კორტზე და თანაც რიგიანად მოჩოგნავეს რომ ვხედავ. სხვაგვარივ — ის ამბავი, რომ ამერიკელები უკვე ზედიზედ მესამე კვირაა, არავის არაფერს ვუთმობთ, დამაიმედებელია. აშშ-ის ღია პირველობას ასეთი აღმაფრენით ჩვენი ჯეელები კარგა ხანია, აღარ შევებებიან.

# შამპიონის ჩემპიონი შაგირდი



გაელ მონფი

**კორტის** დონიდან მეტრისა და 90 სანტიმეტრის ამთვლელი, ბეჭბრტყელი აფროფრანგი გაელ მონფი საჩოგნეთში შარშან ამოიშერდა, როცა პიჯრით აოხრა ავსტრალიის ღია პირველობის, როლანგაროსობისა და უიმბლდონის იუნიორთა ტურნირები და ზედ იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატიც მიაყოლა.

ეს ყოველივე ისეთი შთამბეჭდავი რამ იყო, რომ ჩოგბურთზე მწერლებმა უნიჭიერეს პარიზელ ყმაწვილს მყისვე ჯარსკვლავებთან შეთამაშება უწინასწარმეტყველეს.

დიდხანს ლოდინი მათ არ დასჭირვებიათ — მართალია, მონფის წლეულს ძალიანაც არ გაუბრწყინია, მაგრამ აქა-იქ ღირსეულ მეჩოგნეებს მაინც სძლია, მაიამობის მეოთხე წრეს უწია და ბეზანსონური და ტუნისური ჩელენჯერებიც მოიგო.

ხოლო კარიერის პირველი საეტიპიო ტიტულის მოსახვეჭად — თითქოს განგების ძალით — მანაც ის ალაგი, სოპოტური თიხნარი „შეირჩია", სადაც რომ შარშან ასევე სიფთაზე იმარჯვა მასზე ორი თვით უფროსმა, საამმომენტოდ უკვე ზობად ამოფასკუნჯებულმა თიხეჯერმა რაფაელ ნადალმა.

დიახ, მონფის უწინარესად სწორედ ნადალსა და კიდევ ერთ მათკბილა მეჩოგნეს, სულაც მონფის თვისტომ რიშარ გასკეს ადარებენ. ნადალმა წლეულს მართლაც დაგლიჯა და ფრანგ თანატოლებს კი არა, გამოცდილ უფროსთაგანაც ძალიან ბევრს გადაუსწრო. აი, გასკეს კი ოდნავ მეტი დასჭირდა საიმისოდ, რათა ამქარში თავისი კუთვნილი ადგილი შემოეღობა, კარიერის პირველი ტიტულიც სულ ახლახან, უიმბლდონისთვის მოსათელ ნოტინგემობაზე მოიმკა.

სოპოტამდე მონფი რეიტინგსიის 65-ე საფეხურზე იდგა, ნასოპოტევს კი უკვე ზეორმოცდაათეულში, 46-ზე დაიდანა. იმის გარდა იქ კიდევ ორი ფრანგი მეჩოგნე — ზემოთხსენებული გასკე, ვისაც მე-19 ალაგი უპყრია და 35-ზე მდგომი მრავალნაცადი სებასტიან გროჟანი.

„შარშანდელი აშშ-ის ღია პირველობის შემდეგ ტიერი შამპიონი მწვრთნის — ამბობდა მონფი გერმანელ ფლორიან მაიერთან კვირას 7:6 (8:6) 4:6 7:5 მოგებული ფინალის შემდეგ — ჩემს ფიცხელ თამაშში მან სიმშვიდე და გონიერება შემოიტანა. როცა მასთან მუშაობა დავიწყე, რეიტინგსიაში 500-ს ქვემოთ ვიყავი, ახლა კი უკვე ზეორმოცდაათეულში ვარ. ასეთ შთამბეჭდავ პროგრესს სწორედ ამ კაცს ვუმადლი. საკუთრივ უკეთ ჩოგნაობის გარდა მან მე ისიც მასწავლა, რომ ასეთი წარმატების მერე თავი არ უნდა დავკარგო, მაგარი ტიპობა არ უნდა დავიბრალო და მიწაზე დარჩენა შევძლო. ეს უმნიშვნელოვანესია საიმისოდ, რათა ჩემი ეს პირველი ტიტული უკანასკნელად არ დარჩეს და მე წარმატებული აღმასვლა გავაგრძელო."

„ვის დავურეკე პირველად ფინალის შემდეგ? დედას, მამას და კიდევ არნო ლაგარდერს, კაცს, ვინაც მთელი ჩემი კარიერა დააფინანსა. პირველ რიგში სწორედ მათთვის და ტიერისთვის მინდოდა მოძღვნა და თან მადლობაც მეთქვა."

ხოლო ჩვენ კი ამ ზრდილი და ჩაუქი ყმაწვილის პორტრეტში ერთოდ დარჩენილი შტრიხის შესავსებად შემდეგი ცნობების დამატებაც დაგვრჩა:

პირველ სექტემბერს იგი 19 წლისა გახდება. თავის კერპად, ისევე როგორც სხვა შავკანიანი მეჩოგნენი, უიმბლდონობის პირველ აფროამერიკელ ჩემპიონ არტურ ეშს მიიჩნევს. უყვარს არენბი სტილის მუსიკა და ჩოგბურთს რომ არ თამაშობდეს, დასტურ კალათბურთელი იქნებოდა.

ლევან კელაურაძე

# პირველი სიხარული
## გორდონის გემმა აფრები აფრიკელებთან აუშვა

7 აგვისტო. ბორმიო
**საქართველო 54:53 ც. აფრიკა**
17:11 13:10 15:11 9:21
**საქართველო:** გამყრელიძე (7), ა. ბოისა (1), გ. მარკოიშვილი (6), ვ. ბოისა (11), იმნაძე (9); ცინცაძე (10), მდივანი (5), ი. ბერიშვილი (3), უგრეხელიძე (2), კეიდია, ხეცურიანი, საყვარელიძე

**იტალიის** ალპებში, კურორტ ბორმიოში შეკრებილმა საქართველოს ექსპერიმენტულმა ნაკრებმა იტალიასთან 48:112 განადგურების შემდეგ მეორე საკონტროლო შეხვედრა გამართა და ამჯერად მოახერხა გამარჯვება. ოლიმპიური ვიცე-ჩემპიონების შემდეგ გორდონ ჰერბერტის შეგირდები ევროპულ საკალათბურთო სივრცეში საერთოდ უცნობ მეტოქეს — ცენტრალური აფრიკის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებს ესპარინგნენ და მინიმალური სხვაობით იმარჯვეს. არსებობდა იმის ალბათობაც, მინიმალური სხვაობით წაეგოთ კიდეც.

იტალიაში ჩასვლამდე აფრიკელებთან შეხვედრა არც იგეგმებოდა, მაგრამ ბორმიოში მათ თავად უთხოვიათ ქართველებისთვის, აფრიკის ჩემპიონატისთვის ვემზადებით და ხომ არ გვეთამაშაო. რატომაც არა და საქართველოს არასრულმა ნაკრებმა თავიდან მარჯვედ შეუტია მეტოქეს, მთელი თამაში ლიდერობდა, მაგრამ ბოლო მეოთხედი. აშკარად ჩააგდო, 9:21 დათმო და ლამის შეხვედრაც ზედ მიაყოლა. საფინალო სირენამდე 10 წამით ადრე, უკვე 54:53 ანგარიშზე ქართველები ერთ-ერთ აფრიკელზე დაჯარიმდნენ და ისიც წყვილი საჯარიმოს სატყორცნად გაემზადა, მაგრამ ჰერბერტის გუნდის ბედად ორივე აცილა და ქართველებიც ზედიზედ მეორე მარცხს აარიდა.

ამ სპარინგობების შემდეგ გორდონ ჰერბერტი ოთხთა ტურნირისთვის მოამზადებს მის ხელთ არსებული 12 ქართველის კრებულს. მისი გუნდისთვის ეს ტურნირი 11 აგვისტოს, ჩვენი დროით 20.30 საათზე თურქეთის ეროვნულ გუნდთან შეხვედრით დაიწყება. ხოლო 12 და 13 აგვისტოს იქვე, იტალიისა და ბულგარეთის ნაკრებებს ვხვდებით.

**კოტე ყორშია**



ანატოლი და ვლადიმერ ბოისები

# ბოლო იმედი
## გერმანელებმა ჩაკლეს

**გერმანია 79:64 საქართველო**
(21:21, 23:17, 18:8, 17:18)
**საქართველო:** ჩაჩიბაია (17 ქ. 6 მ), ცეკვავა (5 ქ. 4 პ), ძიძიგური, წივწივაძე (9), შენგელია (12), მაისურაძე, მათიაშვილი (10 ქ. 8 მ), შერმადინი (6), დევიძე (5)

**ბულგარეთში** კადეტთა ევროპირველობა დასასრულს უახლოვდება. სათამაშო ფინალიღა დარჩა, ანუ იმ ორი საუკეთესო გუნდის ვინაობა უკვე გაირკვა, სამომავალწლოდ ევროპის A ჯგუფში თამაშის უფლება რომ გაინაღდეს. ჩვენდა სამწუხაროდ ქართველ კადეტებს ამ მიზნამდე ერთი ნაბიჯი დააკლდათ.

გელა წულაძის გუნდი გუშინ გერმანიასთან დამარცხდა. ნაკრებთან, რომელიც ჯერ კიდევ ჯგუფური ეტაპის მიმოხილვისას ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს კანდიდატად მოვიხსენიეთ. ქართველები კი ალბათ სასურველ ფინალსაც უწევდნენ, ბრწყინვალედ დაწყებული მეორე ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩი ბოსნიასთან რომ არ წაეგოთ და ნახევარფინალში მეორე ჯგუფური ადგილით არ გადასულიყვნენ.

საქართველო — გერმანიას მივუბრუნდეთ. პირველი ათწუთეული თანაბარ ბრძოლაში გაილია და ანგარიშიც ისე მიდიოდა, 3 ქულაზე მეტი სხვაობით უპირატესობა არც ერთ გუნდს არ მოუპოვებია. საბოლოოდ — 21:21. სცენარი მაშინ შეიცვალა, როცა მეორე პერიოდის დასრულებამდე სამწუთნახევარი რჩებოდა. შერმადინისა და ცეკვავას აქტიურობის შემდეგ ჩვენი კადეტები 36:31 დაწინაურდნენ, თუმც ეს იყო და ეს. შესვენებამდე აქტივს მხოლოდ 2 ქულა წაამატეს, მეტოქის 13-ის წილ.

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე გერმანელებმა სხვაობის კიდევ უფრო გაზრდა იწყეს. ექვსწუთიანი მონაკვეთი 14:2 მოიგეს და თამაშის ბედიც გადაწყვიტეს. მესამე მეოთხედის შემდეგ წულაძის გუნდი 46:62-ს აგებდა, მეოთხეში ერთხანს 24 ქულითაც ჩამორჩა, მაგრამ საბოლოოდ 15-ით წააგო.

**ოთარ მაღლაკელიძე**



სამი ერის წლევანდელ გათამაშებაში შაბათს ახალზელანდიელებმაც ითამაშეს და სამხრეთ აფრიკისა და ავსტრალიის შემდეგ დროა, მსოფლიოს უძლიერეს სარაგბო ქვეყანაზეც მოგითხროთ.



# შავი გრიგალი
## ბუმერთიანი კანიბალები

**ახალ ზელანდიაში,** ისევე როგორც მეზობელ ავსტრალიაში, რაგბი ბრიტანელმა კოლონისტებმა საუკუნის დასაწყისში შეიტანეს, თუმც ავსტრალიისაგან განსხვავებით — სადაც ამ თამაშს ძირითადად კონტინენტზე დასახლებული კოლონისტები თამაშობდნენ — ახალ ზელანდიაში რაგბიმ უფრო ნოყიერ ნიადაგზე მოიკიდა ფეხი.

საქმე ის გახლავთ, რომ მაორთა ნაპირებთან ბრიტანული გემების გამოჩენამდეც თამაშობდნენ ადგილობრივები მსგავს თამაშს და ამიტომაც მათ მებრძოლ სულს რაგბისთან დამეგობრება არ გასჭირვებია.

დღეისათვის ახალი ზელანდია ალბათ პლანეტის ყველაზე სარაგბო ერად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ჩრდილოეთსა თუ სამხრეთში არ არსებობს დიდი სარაგბო ქვეყანა, რომელიც „შავებს" არ დაემარცხებინოთ. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი ახალზელანდიელებმა მხოლოდ ერთხელ, 1987 წელს მოიგეს, მაშინ, როდესაც ტურნირი პირველად ჩატარდა და ჯერ არ ჰქონდა ოფიციალური სტატუსი, მაორების უპირატესობა სხვებთან შედარებით აშკარაა სამი ერის თასის გათამაშებაში. ყველაზე პრესტიჟული სამხრეთული სარაგბო ტურნირი „შავებმა" 1996, 1997, 1999, 2002 და 2003 წლებში მოიგეს. შედარებისათვის — ავსტრალიას და სამხრეთ აფრიკას ტურნირზე მხოლოდ ორ-ორჯერ უპირველიათ. ზოგადად კი სამხრეთული რაგბი რომ ევროპულს აღემატება, უდავო ფაქტია.

მიუხედავად მსოფლიოს, იგივე „ვებ ელისის თასზე" წარუმატებლობისა, ახალზელანდიელები მიზანთან ყოველთვის ახლოს იყვნენ. 1995-ში მათ ფინალურ მატჩში მოეცარათ ხელი, 1999 და 2003 წლებში კი ნახევარფინალში დამარცხდნენ.

სწორედ 2003 წლის მსოფლიოს თასზე წარუმატებელ გამოსვლას შეეწირა მთავარი მწვრთნელი ჯონ მიტჩელი, მისი ადგილი კი უელსისა და ოკლენდის ყოფილმა თავკაცმა გრემ ჰენრიმ დაიკავა.

გრემმა ნაკრებში დააბრუნა მიტჩელის მიერ დათხოვნილი რამდენიმე მოთამაშე და ქვეყნის სარაგბო წრეებში პოპულარობაც მოიპოვა, თუმცა 2004 წელს სამი ერის თასზე ბოლო ადგილის დაკავებამ ცოტა არ იყოს, რეპუტაცია შეულახა და ნოემბრის ტესტ-მატჩების სერიას თუ შეეძლო მისდამი ჯერ კიდევ კეთილგანწყობილი ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის თვალში ძველებური პოპულარობის აღდგენა.

ჰენრიმ ეს მოახერხა. ტესტ-მატჩებში მისმა გუნდმა მართლაც კარგად ითამაშა. ყველაზე დასამახსოვრებელი კი საფრანგეთთან 45:6 მოგებული შეხვედრა იყო. ამას სულ ახლახან დასრულებული ბრიტანელ-ირლანდიელი „ლომების" ტურნეც მიამატეთ, რომელშიც მასპინძლებმა მომხვდურებს შავი დღე აყარეს და ადვილად მიხვდებით, რომ „შავების" თავკაცს ტიტულებისათვის ბრძოლის ძალა შესწევს.

ტიტულები გრემ ჰენრის ისედაც არ აკლია. პირველ წარმატებას ოკლენდთან ერთად მიაღწია 1992 და 1997 წლებში მან ახალი ზელანდიის პროვინციათა თასი მოიგო. ამის მერე გრემი „ბლუზის" ნაცადგა სათავეში და 1996-97 წლებში ზე-თორმეტის ტურნირზე გაიმარჯვა. სანაკრებო კარიერამაც არ დააყოვნა და ჰენრი უელსის ნაკრებს სათავეში. საუკეთესო მიღწევა მაგ კი ინგლისისა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებების დამარცხება უნდა ჩავუთვალოთ.

2001 წელს გრემ ჰენრი პირველი არაბრიტანელი მწვრთნელი გახდა, რომელსაც „ლომების" გაწვრთნა დაავალეს მათთან ერთად ჰენრი ავსტრალიურ ტურნეში გაემგზავრა. 2002 წელს ისევ ოკლენდს დაუბრუნდა და ტექნიკური მენეჯერი შექნა, ბოლოს კი „შავების" მწვრთნელის პოსტზე ჯონ მიტჩელი შეცვალა.

ახალზელანდიელთა კაპიტანი ტანა უმაგაა, რომელზეც ჩვენს რუბრიკაში „სამი ერის ვარსკვლავები" — უფრო დაწვრილებით მოგვიანებით მოგითხრობთ.

წლევანდელ „სამ ერზე" მაორებმა „ქურციკებთან" ერთი თამაში დათმეს, თუმცა ჯერაც არაფერია გადაწყვეტილი. ფაქტია, რომ ახალი ზელანდია დღესაც იმ გუნდად რჩება, რომლის დამარცხებაც საუკეთესოთა შორის საუკეთესოს დამარცხებას ნიშნავს.

**ლადო წულუკიძე**



## მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰელსინკი. 6-14 აგვისტო

HELSINKI August 6-14 2005
IAAF World Championships

## ფიზიოთერაპევტის ტკივილი

185-სანტიმეტრიანი იამაიკელი ქალი ტრესია სმიტი სამხტომში ტრიუმფის შემდეგ საპრესკონფერენციო ოთახში კოჭლობით შევიდა. ფეხზე ყინულის ვეება ნატეხი ჰქონდა მიდებული, სახეზე მსუბუქი ღიმილიც კი არ ეტყობოდა. მაგიდასთან ჩამომჯდარი ოთახში მძიმედ და ზოგადად იყურებოდა, სახეში ერთხელაც არ შეუხედავს ვინმესთვის.

ბუნებრივია, ასეთი სურათის შემყურე ჟურნალისტებს პირველი, რაც თავში მოუვიდათ ასეთი კითხვა იყო: არ გაგიხარდათ, მსოფლიოს ჩემპიონი რომ გახდით?

„ეს ხვალ მკითხეთ, როდესაც ტკივილი დამიამდება. რამდენადაც შემცირდება ტკივილი, იმდენად მოიმატებს ჩემს ორგანიზმში ადრენალინი. გულწრფელი პასუხების გაცემას მაშინღა შევძლებ.

ვიცი რაც მომივიდა, ადრეც მქონია ასეთი რამ. ფეხზე კუნთი მექნება გაწყვეტილი. იმედი მაქვს, საქმე ძალიან სერიოზულად არ არის."

ტრესიამ საჩემპიონო შედეგი — 15.11 მ მეხუთე ცდაზე აჩვენა. ამ დროისთვის კი მას კუნთი უკვე გაწყვეტილი ჰქონდა, მეორე ცდაზე დაშავდა.

„ბოლო სამ ცდაზე ვცდილობდი, ფეხი დაფისთვის ზუსტად დამეკრა. დარწმუნებული გახლდით, რომ თუ ამას შევძლებდი, ჩემპიონი სწორედ მე გავხდებოდი."

აღსანიშნავია, რომ ეს კითხვა. პასუხი იმ წუთებში მიმდინარეობდა, როდესაც საპრესკონფერენციო ოთახში 100 მეტრზე მორბენალი ვაჟები უნდა შესულიყვნენ და ჟურნალისტების ყურადღებაც ნელ-ნელა ტრესია სმიტს შორდებოდა, ხოლო თავად მძლეოსანი იქ ჯდომასა და ტკივილს ველარ უძლებდა, ასე, რომ იგი წამოდგა და გავიდა, ოღონდ მისი პორტრეტის სისრულისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ვინმეს ხელის შეშველება იუკადრისა და თავად დასტოვა იქაურობა.

და ბოლოს იმ ორიოდ სიტყვის შესახებ, რომელიც სმიტმა უკვე გარეთ, დერეფანში წამოწეული კითხვების პასუხად თქვა:

„რვა წელიწადი ამერიკის შეერთებულ შტატებში გავატარე, ხოლო 2003 წელს პიტსბურგის უნივერსიტეტის მასტერსის პროგრამა დავასრულე. ამის შემდეგ ინგლისში გადავსახლდი. პროფესიით ფიზიოთერაპევტი გახლავართ მასტერსის ხარისხით."



AFP ჰელსინკიდან

# ასი ასი ასლამაზი
## ჯასტინ გატლინის კილომეტრი



## ოთახში ასიანები შევიდნენ

**როგორც ზემოთ** მოგახსენეთ, საპრესკონფერენციო ოთახში შემდეგ 100 მეტრზე რბენის კაცი ვარსკვლავები შევიდნენ — ჩემპიონი 23 წლის ამერიკელი ჯასტინ გალტინი გახდა.

„ფაქტობრივად ნახევარი დისტანცია გამარჯვების ყიჟინით ვირბინე, რადგან საქმე ისე წავიდა, რომ ჩემთვის იმთავითვე ნათელი გახდა — ჩემპიონობას ვერავინ შემეცილებოდა" — ეს იყო პირველი, რაც გატლინმა ჟურნალისტებს განუცხადა.

ამ ნათქვამს მოწმედ არა მხოლოდ ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე შეკრებილნი, არამედ ოთხმილიონიანი ტელეაუდიტორიაც კი დაუდგებოდა.

„აი, მეორე ადგილზე გასულთან სხვაობა კი ნამდვილად არ ვიცოდი, სანამ ფინიშის ხაზის გადაკვეთის შემდეგ არ მოვტრიალდი და ტაბლოს არ შევხედე. ისე კი არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ერთი კილომეტრით ჩამოვიტოვე მდევარი თუ ერთი გოჯით. მთავარი ისაა, რომ ფინიშის ხაზი პირველმა მე გადავკვეთე და ჩემპიონი გავხდი" — ასეთი იყო ჩემპიონის შეფასება, თუმცა 100 მეტრზე რბენის მოყვარულებისთვის ნათელია, რომ იმ უპირატესობისთვის, რაც გალტინს მეორეზე გასულ იამაიკელ მაიკლ ფრატერისთან ჰქონდა, მართლაც შეიძლებოდა კილომეტრი გვეწოდებინა. შეგახსენებთ, რომ გატლინის შედეგი იყო 9.88, ხოლო ფრატერისა 10.05 წამი.

„მოკლედ თავისებური რეკორდი მართლა დავამყარე, — იცინოდა შემდეგ გატლინი, — მერწმუნეთ, მართლა ძალიან სასიამოვნოა, როდესაც საქვეყნოდ ამტკიცებ, რომ ამ წელიწადს ბადალი არ გყავს. სხვათაშორის, სტარტი დიდებული ნამდვილად არ მქონია, პირიქით, სტარტის მხრივ ფინალური გარბენის მონაწილეთა შორის ყველაზე სუსტი მე გახლდით, მაგრამ დისტანციის მეორე ნაწილში გავილაღე. სხვა რა უნდა გინდოდეს კაცს? მოვიგე და ოქროს მედალი ჩამოვიკიდე."

მოგეხსენებათ, ამ ჩემპიონატში მონაწილეობა ვერ მიიღო მსოფლიო რეკორდსმენმა ასაფა პაუელმა, რაც გატლინისთვის ალბათ დიდი პლუსიც იყო და ბუნებრივია ამის შესახებ მას ჰკითხეს კიდეც.

„ცხადია, ასაფასაც რომ ერბინა, უფრო კარგი იქნებოდა. ბოლოს და ბოლოს გარბენი უფრო სწრაფი გამოვიდოდა და დარწმუნებული გახლავართ მსოფლიოს რეკორდი თუ არ დამყარდებოდა, შედრკებოდა მაინც. მაგრამ ისიც მინდა გითხრათ, რომ ვფიქრობ, ასაფასაც მოვუგებდი" — იყო პასუხი.



AFP ჰელსინკიდან

## მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰელსინკი. 6–14 აგვისტო

# რატომ ჰქვია ოლიმპიადას ოლიმპიადა?




AFP ჰელსინკიდან

## ესეც ოლიმპიადა

**ოლიმპიადა** ივანოვამ მხოლოდ ოქროს მედლის მოგება არ იკმარა, მსოფლიოს რეკორდიც დაამყარა — საუბარია 20 კილომეტრ სიარულზე. ივანოვას შედეგი გახლდათ 1:25.41

ყველაზე სახალისო კი რა არის, იცით? პრესკონფერენციაზე მას ერთ-ერთი პირველი რაც ჰკითხეს ის იყო, მშობლებმა ასეთი უცნაური სახელი რატომ დაგარქვესო.

„არ ვიცი, — სიცილით უპასუხა რეკორდსმენმა — ისინი სპორტით სამოყვარულო დონეზე იყვნენ დაკავებულნი, ოლიმპიადაზე არასდროს გამოსულან."

საქვეყნოდაა ცნობილი, რომ ოლიმპიადა ივანოვა ძალიან გულდაწყვეტილია 2004 წელს ათენის ოლიმპიადაზე რომ ვერ გაიმარჯვა, მაგრამ ჰელსინკის ტრიუმფმა მისი საბანკო ანგარიში გულის გასანათებელი თანხით, 160 000 დოლარით შეავსო.

„ათენში ჩემპიონი რომ გავმხდარიყავი, სპორტიდან უეჭველად წავიდოდი, მაგრამ იქ ხახამშრალი დავრჩი და ამან მსოფლიოს ჩემპიონატზე კონცენტრაციისკენ მიბიძგა. ახლა პეკინის ოლიმპიადისთვის უნდა მოვემზადო და საამისოდ ყველა ღონეს ვიხმარ, მაგრამ მეორე მხრივ საერთოდ შევძლებ თუ არა გაისად ასპარეზობას, კაცმა არ იცის."




AFP ჰელსინკიდან

HELSINKI August 6-14 2005
IAAF World Championships




AFP ჰელსინკიდან

## კამათი ბალტიის პირში

**ბადრო** ჰელსინკიში ყველაზე კარგად ლიტველმა მძლეოსანმა ვირჯილიუს ალეკნამ სტყორცნა. მისი შედეგი 70.17 მეტრი გახლდათ. საინტერესო ისაა, რომ ოქროს მედალს ლიტველს ესტონელი გერდ კანტერი ედავებოდა, ასე, რომ ამ დისციპლინაში კამათი ფაქტობრივად ბალტიისპირული გამოვიდა. კანტერის შედეგი 68.57 მეტრი გახლდათ.

ვისთვისაც მძლეოსნობა უცხო ხილია, ვეტყვით, რომ ვირჯილიუს ალეკნა დიდი სპორტსმენი ბრძანდება. მან პირველად 2000 წელს გაიბრწყინა, როდესაც პირველი ოლიმპიური ოქრო მოიგო, ხოლო 2003 წელს მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა. ალეკნას სტილი ისაა, რომ შეჯიბრებას პირდაპირ ძლიერი ტყორცნით იწყებს და მეტოქეებს ძაბავს. ამის შემდეგ მათ უკვე იციან, რომ მაქსიმალურად უნდა დაიხარჯონ, რათა კონკურენტის შედეგი გადაძალონ. მაგრამ ჰელსინკიში სცენარი ცოტა აირია.

„როგორც ჩვეულებრივ ვაკეთებ, ახლაც ვცადე საუკეთესო შედეგი თავიდანვე მეჩვენებინა, მაგრამ ამ საღამოს ეს არ გამომივიდა და შესაბამისად კოზირი ესტონელს ჩაუვარდა ხელთ, — მოყვა შემდეგ ჩემპიონმა — უნდა განვაცხადო, რომ ამით კანტერმა ისარგებლა და ძალიან გამირთულა საქმე. ერთი სიტყვით მთელი ჩემი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალების მოკრება დამჭირდა, რათა საქმე გამომესწორებინა, ყველაფერი კი იმიტომ, რომ პირველივე ტყორცნები ტექნიკურად სწორი არ გამომივიდა. არადა მწამდა, რომ 70 მეტრს გადავაცილებდი... ეს ბევრჯერ გამიკეთებია და ვიცოდი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზეც გავაკეთებდი.

**ტუტა სიხარულიძე**

### 7 აგვისტო

| | |
|---|---|
| **კაცები. ბადროს ტყორცნა** | |
| 1 ვირჯილიუს ალეკნა (ლიტვა) | 70,17 |
| 2 გერდ კანტერი (ესტონეთი) | 68,57 |
| 3 მიხაელ ვოლენბეკი (გერმანია) | 65,95 |
| **100 მ** | |
| 1 ჯასტინ გატლინი (აშშ) | 9,88 |
| 2 მაიკლ ფრატერი (იამაიკა) | 10,05 |
| 3 კიმ კოლინზი (სენტ კიტსი) | 10,05 |
| **ქალები. 20 კმ სიარული** | |
| 1 ოლიმპიადა ივანოვა (რუსეთი) | 1:25.41 |
| 2 რიტა ტურავა (ბელარუსი) | 1:27.05 |
| 3 სუსანა ფეიტორი (პორტუგალია) | 1:28.44 |
| **სამხტომი** | |
| 1 ტრესია სმიტი (იამაიკა) | 15,11 |
| 2 იარხელის სავინი (კუბა) | 14,88 |
| 3 ანა პიატიხი (რუსეთი) | 14,78 |
| **ჰეპტატლონი** | |
| 1 კაროლინა კლუფტი (შვედეთი) | 6887 |
| 2 იუნის ბარბერი (საფრანგეთი) | 6824 |
| 3 მარგარეტ სიმპსონი (განა) | 6375 |

### 8 აგვისტო

| | |
|---|---|
| **კაცები. 10 000 მ** | |
| 1 კენენისა ბეკელე (ეთიოპია) | 27.08,33 |
| 2 სილეში სიჰინე (ეთიოპია) | 27.08,87 |
| 3 მოზეს მოსოპი (კენია) | 27.08,96 |
| **უროს ტყორცნა** | |
| 1 ივან ტიხონი (ბულგარეთი) | 83,89 |
| 2 ვადიმ დევიატოვსკი (ბულგარეთი) | 82,60 |
| 3 შიმონ ზიოლკოვსკი (პოლონეთი) | 79,35 |
| **ქალები. სიმაღლეზე ხტომა** | |
| 1 კაისა ბერკვისტი (შვედეთი) | 2,02 |
| 2 ჩუნტე ჰოვარდი (აშშ) | 2,00 |
| 3 ემა გრინი (შვედეთი) | 1,96 |
| **3 000 მ წინაღობებით** | |
| 1 დოკუს ინზიკურუ (უგანდა) | 9:18.24 |
| 2 ეკატერინა ვოლკოვა (რუსეთი) | 9:20.49 |
| 3 ხერუტო კიპტუმი (კენია) | 9:26.95 |
| **100 მ** | |
| 1 ლურინ უილიამსი (აშშ) | 10,93 |
| 2 ვერონიკა კემპბელი (იამაიკა) | 10,.95 |
| 3 კრისტინ არონი (საფრანგეთი) | 10,98 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



AFP ჰელსინკიდან

# ჭყაპ

ესეც ჰელსინკი და 3 ათასი მეტრი წინაღობებით. მოკლედ, ჭყაპ და ჭყუპ. ფინალური გარბენის ამბავი მძლეოსნობის გვერდში წერია, ეს კი საკვალიფიკაციო ჭყაპუნია გადაღებული



მარჯვენა ქალიც სორენსტამია და მარცხენაც. განსხვავება ისაა, რომ ერთი წუწავს, ხოლო მეორეს წუწავენ. კიდევ განსხვავება ისაა, რომ მარჯვენას ანიკა ჰქვია, ხოლო მარცხენას შარლოტა და მარჯვენამ მალმოიოში მეგოლფეთა სკანდინავიური ტურნირი მოიგო, მარცხენას კი მხოლოდ გაუხარდა. და არის და გაუხარდებოდა, აბა რა.

AFP მალმოიდან

# მსოფლიო ფეხი

თქვენ გეგონათ, მსოფლიოს ჩემპიონატი მარტო მძლეოსნობაში ანუ ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე იყო გახურებული? არამც და არამც, მას ცალი ფეხი დანიაში აქვს დატოვებული, სადაც გაგანია ტრიატლონისა. გაიმარჯვა ფოტოზე აღბეჭდილმა ბელგიელმა კატელინ სმეტმა. ცნობისთვის, ტრიატლონი სპორტის ის სახეობაა, ცურვა, ველო და სირბილი ერთად რომ არის თავმოყრილი.




AFP ფრედერიციიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხოშტარია, ვაჟა ზუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პირტახია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge